



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

---

# წლიური ანგარიში

2011



## სარჩევი

|  |           |
|--|-----------|
| <b>თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია .....</b>           | <b>3</b>  |
| კომისიის შესახებ.....  | 3         |
| კომისიის ბიუჯეტი .....   | 5         |
| <b>თავი II. განხორციელებული სამუშაოები .....</b>                           | <b>6</b>  |
| ავტორიზაცია და ლიცენზირება.....  | 7         |
| დავების განხილვა.....  | 8         |
| კონკურენციის ხელშეწყობა.....   | 8         |
| მომხმარებელთა ინფორმირება და მათი უფლებების დაცვა.....                     | 11        |
| ნუმერაციის რესურსის მართვა.....  | 21        |
| რადიოსიხშირული სპექტრის რესურსების მართვა, რადიომონიტორინგი და კოორდინაცია | 22        |
| საერთაშორისო საქმიანობა.....   | 25        |
| <b>ერთობლივი პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი</b>  |           |
| <b>ორგანოების თანამონაწილეობით.....</b>                                    | <b>29</b> |
| მაუწყებლობის რეგულირება.....   | 31        |
| <b>თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის მიმოხილვა.....</b>          | <b>38</b> |
| მობილური კომუნიკაციები.....  | 39        |
| ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციები.....                                  | 46        |
| ფართოზოლოვანი და ვიწროზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება .....                  | 49        |
| მაუწყებლობის ტრანზიტი .....  | 54        |
| <b>დანართი : აუდიტორის დასკვნა.....</b>                                    | <b>55</b> |



## თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ, დამოუკიდებელ სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისია არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მისი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელი ოპერატორების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური.

**ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში** საქმიანობის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის წინაპირობა გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული „საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“, რის საფუძველზეც 2000 წლის 1 ივლისს კომისია შეუდგა საქმიანობას.

კომისიის ძირითადი მიზნებია:

- ✓ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და, ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ✓ მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.


საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნამ ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში საქმიანობის სრულიად ახლებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები დაადგინა. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი (რომელმაც ჩაანაცვლა „კავშირგაბმულობის და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი), მიჯნავს მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის დამდგენი ორგანოს და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს, ფუნქციებს.

კომისია კოლეგიალურ ორგანოს წარმოადგენს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია შედგება ხუთი წევრისგან. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებებს. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის წევრთაგან ერთ-ერთს ნიშნავს თავმჯდომარედ. ამჟამად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა ირაკლი ჩიქოვანი, ხოლო კომისიის წევრები არიან: აკაკი სიხარულიძე, სოფიო ბრიტანჩუკი, ირაკლი მოსემვილი და კარლო კვიციანიშვილი.

2011 წელს კომისიის აპარატი შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან შედგებოდა: სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, სამართლებრივი დეპარტამენტი, კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი, ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი და მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტი. კომისიასთან, კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად,



ფუნქციონირებად მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური და კომისიის პრესმდივანი. კომისიაში სულ დასაქმებული იყო 105 თანამშრომელი.



კომისიის აპარატის დეპარტამენტების ფუნქციები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

|  |  |
|--|--|
| სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი    | დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დაგეგმარება   |
| კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი    | სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა  |
| ადმინისტრაციული დეპარტამენტი             | საკანცელარიო, საოქმო-საარქივო, საკადრო და სამეურნეო საქმიანობა; ავტორიზაციისა და ლიცენზირების ადმინისტრაციული წარმოება; საინფორმაციო ტექნოლოგიური უზრუნველყოფა     |
| საფინანსო დეპარტამენტი                   | შიდა კორპორატიული ფინანსები და აღრიცხვა  |
| სამართლებრივი დეპარტამენტი               | ნორმათშემოქმედებითი საქმიანობა, დავების რეგულირება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კომისიის სამართლებრივი აქტების ექსპერტიზა, ხელშეკრულებების პროექტების მომზადება |
| რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი      | რადიოსიხშირეთა ამოწურვადი რესურსების ეფექტურად მართვა  |
| ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი | ნუმერაციის ეროვნული გეგმის შესაბამისად ნუმერაციის რესურსის განაწილება  |



მაუწყებლობის რეგულირების  
დეპარტამენტი

ტელერადიომაუწყებლობის დარგის რეგულირება

## კომისიის ბიუჯეტი

”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” და ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონების თანახმად, რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები.

რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები და ავტორიზებული პირები.

რეგულირების საფასურის ოდენობაა:

- მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0.5 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე. ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური და წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით;
- ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0.75 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით, კომისიას წარუდგინონ ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური.

2011 წლის განმავლობაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა: 7,341,696.12 ლარი, საოპერაციო ხარჯებმა - 5,526,735.85 ლარი, ხოლო ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯებმა - 196,132.97 ლარი.



## თავი II. განხორციელებული სამუშაოები

2011 წლის განმავლობაში კომისიის მიერ მიღებულ იქნა 10 დადგენილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ნუმერაციის ეროვნული გეგმის, ნომრის პორტაბელურობის, ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის და კომისიის უწყებრივი რეესტრის თაობაზე.

ასევე, მიღებული იქნა **862** გადაწყვეტილება, მათ შორის:

|  | 2011       |
|--|------------|
| 1 ლიცენზიის გაცემა   | 24         |
| 2 ლიცენზიის მოდიფიცირება   | 24         |
| 3 ლიცენზიის გაუქმება   | 4          |
| 4 ლიცენზიის გადაპირება   | 7          |
| 5 ლიცენზიის ვადის გაგრძელება   | 29         |
| 6 ნებართვის გაცემა   | 180        |
| 7 აუქციონი (გამოცხადება; გამარჯვებულის გამოვლენა; განუხილველად დატოვება; დოკუმ. წარმოდგენის ვადის განსაზღვრა; ჩაშლა) | 33         |
| 8 ბაზრის კვლევა (წარმოება, შედეგები)   | 3          |
| 9 კონკურსი (გამოცხადება; გამარჯვებულის გამოვლენა; განუხილველად დატოვება; დოკუმ. წარმოდგენის ვადის განსაზღვრა; ჩაშლა) | 5          |
| 10 შერწყმა, წილის, აქციების, საოპერაციო აქტივის შექმნა   | 1          |
| 11 წარმოებაში არ მიღება, დაკმაყოფილებაზე უარი ან განუხილველად დატოვება   | 24         |
| 12 სიხშირის მინიჭება   | 120        |
| 13 მინიჭებული სიხშირის კოორდინაცია   | 4          |
| 14 ნუმერაციის რესურსის მინიჭება  | 106        |
| 15 დავები  | 22         |
| 16 სანქცირება  | 66         |
| 17 ცვლილებები გადაწყვეტილებებში  | 22         |
| 18 კომერციულ საიდუმლოებად ცნობა  | 14         |
| 19 ბიუჯეტისა და ანგარიშების განხილვა-დამტკიცება  | 4          |
| 20 ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები  | 93         |
| 21 სხვადასხვა  | 77         |
| <b>ჯამი:</b>   | <b>862</b> |



## ავტორიზაცია და ლიცენზირება

2011 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ავტორიზაცია გაიარა 69 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა.

### გამოცხადდა:

17 აუქციონი. მათ შორის:

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად – 4 და გამოვლინდა 3 გამარჯვებული (1 გამარჯვებული გამოვლინდა 2012 წელს);
- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად – 13 და გამოვლინდა 11 გამარჯვებული;
- ჩამოილადა გამოცხადდა – 2.

### გაიმართა:

კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად 2 კონკურსი და გაიცა კერძო საერთო რადიომაუწყებლობის 1 ლიცენზია (მეორე ლიცენზია გაიცა 2012 წლის 09 მარტს).

### ვადა გაუგრძელდა 29 ლიცენზიას:

- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის – 4 ლიცენზიას;
- მაუწყებლობის – 25 ლიცენზიას.

### გაიცა 24 ლიცენზია:

- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის – 11 ლიცენზია;
- კერძო მაუწყებლობის – 10 ლიცენზია (მათ შორის: საკაბელო ქსელის გამოყენებით – 8, თანამგზავრული სისტემებითა და მიწისზედა ორბიტალური სადგურების გამოყენებით – 1, კერძო საერთო რადიომაუწყებლობის – 1);
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის – 3 ლიცენზია.

### მოდელირდა 25 ლიცენზია:

- მაუწყებლობის – 14 ლიცენზია;  
**მათ შორის:**
  - ა) თანამგზავრული სისტემებითა და მიწისზედა ორბიტალური სადგურების გამოყენებით – 11;
  - ბ) საკაბელო ქსელის გამოყენებით – 1;
  - გ) კანონთან შესაბამისობაში მოყვანისა და ტექნიკური პარამეტრების დაზუსტების მიზნით – 2.
- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის – 11 ლიცენზია.

## დავების განხილვა

კომისიამ მიმდინარე წელს 22 გადაწყვეტილება მიიღო დავების განხილვის თაობაზე, ერთი მხრივ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, მათსა და მომხმარებლებს შორის.

დავები ძირითადად მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

1. დაშვებასთან დაკავშირებული დავები;
2. ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული დავები;
3. არასათანადო რეკლამის გავრცელებასთან დაკავშირებული დავები;
4. დისკრიმინაციის დაუშვებლობის სპეციფიკური ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები.

განხორციელებული დავებიდან ორი დასრულდა მორიგებით.

## კონკურენციის ხელშეწყობა

### ბაზრის სეგმენტების კვლევა

2011 წელს კომისიის მიერ ორჯერ განხორციელდა მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის და ერთხელ - ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც, კომისიის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, კერძოდ:

2011 წლის 25 იანვარის №26/9 გადაწყვეტილება "მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" 2010 წლის 21 მაისის №240/9 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ".

კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად, ბოლო მომხმარებლებისთვის (აბონენტებისთვის), მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე, მომსახურების მიმწოდებელ პირებად განისაზღვრნენ: შპს "მაგთიკომი", შპს "ჯეოსელი", შპს "მობიტელი" და სს "სილქნეტი"; სეგმენტის გეოგრაფიულ ფარგლებად მიჩნეულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია; შესაბამის სეგმენტზე, დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად განისაზღვრნენ - შპს "მაგთიკომი" და შპს "ჯეოსელი".



განხორციელდა აღნიშნული კომპანიების საცალო სატარიფო პოლიტიკის კვლევა და ანალიზი, რის შედეგადაც კომისიის მიერ 2011 წლის 25 იანვარს მიღებული №26/9 გადაწყვეტილებით, ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მოძრავი სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, შპს “მაგთიკომსა“ და შპს “ჯეოსელს“, დაეკისრათ ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებანი, მათ შორის სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

- ბოლო მომხმარებლებისათვის (აბონენტებისათვის) ეკონომიკურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით; ამავე დროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს აკრძალათ საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არაგონივრულად მაღალი ტარიფების დაწესება ან სატარიფო ზეწოლა;

- საკუთარი აბონენტის მიერ წამოწყებულ სატელეფონო ხმოვან მომსახურებაზე, კერძოდ, საკუთარ (შიდა) ქსელში განხორციელებულ ზარებზე, სხვა მობილური ქსელის მიმართულებით განხორციელებულ ზარებზე და ფიქსირებული ქსელის მიმართულებით განხორციელებული ზარებზე, დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი - 24 თეთრის ოდენობით წუთზე, აქციზისა და დღგ-ს ჩათვლით, შემდეგი პირობებით:

ა) ზედა ზღვრული ტარიფის დაცვის ვალდებულება განისაზღვრა ყველა იმ ტარიფის, სატარიფო გეგმის, აქციისა და ა.შ. მიმართ, რომელიც ბოლო მომხმარებელს (აბონენტს) ჩაერთვება ავტომატურად, ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) არჩევანის გარეშე;

ბ) ნებისმიერი ასეთი ტარიფის, სატარიფო გეგმის, აქციისა და ა.შ. ფარგლებში დადგენილი ხმოვანი სატელეფონო მომსახურების საფასური არ შეიძლება აღემატებოდეს დადგენილი ზღვრული ტარიფის ოდენობას, როგორც სრული წუთისათვის, ასევე მისი ნებისმიერი მონაკვეთისათვის; წუთობრივი მომსახურების საფასურის დარიცხვა უნდა განხორციელდეს გაწეული მომსახურების წამობრივი სიზუსტით;

გ) ნებისმიერი ასეთი ტარიფის, სატარიფო გეგმის, აქციისა და ა.შ. ფარგლებში დაუშვებელია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ ისეთი გადასახადის/საფასურის დაწესება (ყოველთვიური, ყოველდღიური, ზარის წამოწყების გადასახადი/საფასური, სააბონენტო და ა.შ.), თუ იგი გამოიწვევს ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) მიერ სატელეფონო ხმოვანი მომსახურებისთვის გადასახდელი საფასურის გადამეტებას კომისიის მიერ დადგენილ ზედა ზღვრული ტარიფის ოდენობაზე;

- ტარიფების, აქციებისა და ა.შ. პირობების შესახებ ბოლო მომხმარებელს (აბონენტს) უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამჭვირვალედ და სრულად. ბოლო მომხმარებელს (აბონენტს), მისთვის გასაგები ფორმით, უნდა მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია გადასახდელი თანხის ოდენობისა და მომსახურების მოცულობის შესახებ;

”მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” 2010 წლის 21 მაისის №240/9 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შესწავლილი იქნა



შპს "მაგთიკომისა" და შპს "ჯეოსელის" მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებები, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2010 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების აქციზით დაბეგვრის ვალდებულება.

შპს "ჯეოსელისა" და შპს "მაგთიკომის" მიერ წარმოდგენილი დანახარჯების განაწილების მოდელის შესაბამისად, ურთიერთჩართვის მომსახურების (სატელეფონო ზარის წამოწყება/დასრულება) ერთი წუთის ღირებულება, მათ შორის აქციზისა და დღგ-ს გათვალისწინებით, არ აღემატებოდა 2010 წლის 21 მაისის №240/9 კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ზედა ზღვრულ ოდენობას; შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/დასრულება) დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფი 8 თეთრი/წუთზე, დარჩა უცვლელი.

2011 წლის 18 ნოემბერს კომისიამ მიიღო №657/9 გადაწყვეტილება "მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე 2010 წლის 21 მაისის №240/9 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად, მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად განისაზღვრნენ: შპს "ჯეოსელი", შპს "მაგთიკომი" და შპს "მობიტელი".

გამომდინარე იქედან, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, შპს "მაგთიკომისა" და შპს "ჯეოსელს" უკვე განსაზღვრული ჰქონდათ სპეციფიკური ვალდებულებები, კომისიის 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილებით, შესაბამისად, №657/9 გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ განესაზღვრა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე-35-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები, რომლის შესრულებაც დაეკისრა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც ჰქონდათ დაკისრებული ეს ვალდებულებები შპს „მაგთიკომისა“ და შპს „ჯეოსელს“. კერძოდ: ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვისა და სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში, შპს "მობიტელისათვის" სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების (ურთიერთჩართვა) მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი განისაზღვრა 11 თეთრის ოდენობით წუთზე, აქციზისა და დღგ-ს ჩათვლით.

## ნომრის პორტაბელურობის დანერგვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, მობილური კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, 2011 წლის 15 თებერვლიდან, ნომრის პორტაბელურობის მომსახურება დაინერგა. ნომრის პორტაბელურობის დანერგვამდე, ოპერატორის შეცვლისას, აბონენტებს ნომრის შეცვლა უწევდათ, რაც კონკურენციის შემაფერხებელი ერთ-ერთი ბარიერი იყო.

აბონენტებს ახლა უკვე აქვთ საშუალება მობილური მომსახურების ერთი ოპერატორის მეორით ჩანაცვლებისას შეინარჩუნონ თავიანთი სატელეფონო ნომერი.

ნომრის პორტაბელურობის დანერგვას, ოპერატორების მხრიდან, მოჰყვა აბონენტებისთვის ინოვაციური სატარიფო გეგმების შეთავაზება, რამაც, საბოლოო ჯამში, მომსახურების საფასური შეამცირა.

## მომხმარებელთა ინფორმირება და მათი უფლებების დაცვა

### მომხმარებელთა ინტერესების ხელშეწყობა

მომხმარებელთა უფლებების გამყარებისა და დაცვის მიზნით, რიგი ცვლილებები შევიდა „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში“. კომისიის მიერ 2011 წელს მიღებული იქნა ნორმები, რომლებიც ხელს უწყობს მომხმარებლებსა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის/მომსახურების მიმწოდებელთა შორის, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების ადეკვატურ დარეგულირებას ასევე უზრუნველყოფს ოპერატორების მხრიდან აბონენტების მაქსიმალურ ინფორმირებას მისაღები თუ მიღებული მომსახურების, მისი ხარისხის, არჩევანისა და შეზღუდვების შესახებ, კერძოდ:

- განისაზღვრა ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით, ასევე, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება, რომ მომხმარებელთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებისას, მომხმარებელს მიეცეს შესაძლებლობა, მომსახურების პაკეტში აირჩიოს მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები; ხოლო შემდგომ, მომხმარებლის მოთხოვნით, მომხმარებლის მიერ არჩეულ მომსახურების პაკეტში უზრუნველყოს ცვლილებების შეტანა (მომსახურების სახეების შეზღუდვა ან/და დამატება);
- დადგინდა, რომ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ როუმინგული მომსახურების მიღების ქვეყანაში მოქმედი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის, ან საკონსულო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მომხმარებლისათვის მიწოდება. ამავდროულად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებს განესაზღვრათ ვალდებულება, რომ გაწეული მომსახურების საფასური მომხმარებელს დაარიცხონ მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს სამი თვისა, ხოლო ანგარიში მომხმარებელს წარუდგინონ გაწეული მომსახურების საფასურის დარიცხვიდან არაუგვიანეს მომდევნო ერთი თვისა;



- დაზუსტდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ცნება, ასევე ძირითადი საკომუნიკაციო მომსახურების სახეები. განისაზღვრა, რომ ინტერნეტით მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე (გარდა მობილური და "dial-up" ინტერნეტისა). ამავე დროს, დადგინდა დაემატა მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ნორმა; კერძოდ, განისაზღვრა, რომ მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. დადგინდა, ასევე, განსაზღვრა, თუ რა უნდა იყოს ასახული მომხმარებელსა და მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების გამწვევს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, როგორ უნდა განხორციელდეს მომხმარებლის ინფორმირება ტარიფისა და პაკეტში განთავსებული არხების ცვლილებასთან დაკავშირებით;
- დადგინდა, რომ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების კომერციულ რეკლამასა და "ტელეშოპინგში" გამოყენებული ტექსტის სიმბოლოს სიმადლე არ უნდა იყოს სატელევიზიო კადრის სიმადლის 4%-ზე ნაკლები; ამავე დროს, ტექსტის ჩვენების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ ტექსტის მოცულობა 1 წუთში 140 სიტყვაზე მეტის წაკითხვას არ საჭიროებდეს; ტექსტის ჩვენების ხანგრძლივობის გამოთვლისას, რიცხვებს და სხვა აღნიშვნებს შეესაბამება იმდენი სიტყვა, რამდენიც მათ წარმოსათქმელად არის საჭირო;
- განისაზღვრა ინდივიდუალური (არასტანდარტული) პირობებით გაფორმებული ხელშეკრულების მომხმარებლის ინიციატივით ვადაზე ადრე შეწყვეტის წინაპირობები, პირგასამტეხლოს ოდენობა და მომსახურების მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები. ამავდროულად, დადგინდა, რომ მომხმარებლის ინიციატივით, სტანდარტული პირობებით მომსახურების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, არ შეიძლება დადგინდეს პირგასამტეხლო, ან სხვა დამაბრკოლებელი პირობები.
- დაკონკრეტდა მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის გასაგზავნი შეტყობინების ფორმები, სახეები და ის რეკვიზიტები, რასაც უნდა შეიცავდეს შეტყობინება.

### ***საზოგადოების, მომხმარებლების ინფორმირება სოციალური ქსელების გამოყენებით***

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საზოგადოების განწყობის და მისი პრობლემების უკეთ გასაცნობად, 2011 წელს აქტიურად დაიწყო სოციალური ქსელების გამოყენება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ოფიციალური ანგარიში აქვს სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე, სადაც უშუალო და ყოველდღიური კავშირი აქვს საზოგადოებასთან. ეს ინსტრუმენტი კომისიას ეხმარება პირველწყაროდან შეიტყოს საზოგადოების განწყობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მიმდინარე ამა თუ იმ მოვლენაზე. ასევე, საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად შეატყობინოს კომისიას საკუთარი პრეტენზია ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის შესახებ. კომისია საზოგადოებასთან ურთიერთობის გასაღრმავებლად ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ „Twitter“-ს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვიდეო პორტალებზე „myvideo.ge“ და „youtube.com“, გახსნილი აქვს საკუთარი არხები, სადაც იტვირთება როგორც კომისიის შესახებ მაუწყებლების ეთერში გასული ვიდეო მასალა, ასევე, კომისიის მიერ დამზადებული სარეკლამო რგოლები. კომისია ითვალისწინებს დღეს არსებულ ცხოვრების რიტმს და საზოგადოებას სთავაზობს ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში მიმდინარე მოვლენების ამსახველ ვიდეო არქივს. საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეს ფორმა კიდევ იმითაც არის მომხიბვლელი, რომ

საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მიმდინარე მოვლენების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის კი უნიკალური შესაძლებლობაა, ყოველგვარი დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე, შეიტყოს თუ რა საკითხია აქტუალური საზოგადოებისთვის.

2011 წელს, მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი ([www.gncc.ge](http://www.gncc.ge)) განახლდა. მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისთვის შეიქმნა ცალკე გვერდი. საზოგადოებას საშუალება აქვს უშუალოდ ამ გვერდის მეშვეობით გაუზიაროს შეტყობინება უფლებადამცველს.

## *კომისიის რეკომენდაციები მომხმარებლებისათვის*

### *მობილური ტარიფების მრჩეველი*

მობილური ქსელის ოპერატორები მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვა სატარიფო გეგმებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ისეა შექმნილი, რომ იწვევს მომხმარებლის დაზნევას და გაურკვევლობას სატარიფო პაკეტის არჩევის დროს.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, 2011 წელს, კომისიამ შექმნა ვებ-პორტალი - „მობილური ტარიფების მრჩეველი“, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შეარჩოს მისთვის მისაღები სატარიფო გეგმა და მობილური ქსელის ოპერატორი.

„მობილური ტარიფების მრჩეველი“ უკვე დანერგილია და წარმატებით მუშაობს ევროპის ბევრ ქვეყანაში.

„მობილური ტარიფების მრჩეველის“ პროგრამული უზრუნველყოფა შეიცავს ადმინისტრირებისა და მომხმარებლის განყოფილებას.

ადმინისტრირების განყოფილებაში პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრატორს მონაცემთა ბაზაში შეაქვს მობილური ქსელის ყველა ოპერატორის მუდმივად განახლებადი მოქმედი სატარიფო გეგმები;

მომხმარებლის განყოფილებაში, ვებ-პორტალზე, მომხმარებელს შეაქვს მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენ ხანს სურს ისაუბროს 1 თვის განმავლობაში მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე; მომხმარებელს შეუძლია, ასევე, შეიტანოს მონაცემები მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობილური ინტერნეტის ოდენობისა და სხვა დამატებითი მომსახურების შესახებ. მონაცემების შეყვანის შემდგომ, „მობილური ტარიფების მრჩეველი“ მომხმარებელს აძლევს შედეგს, სადაც მოცემულია, თუ რომელი სატარიფო გეგმა იქნებოდა მისთვის ფინანსურად მომგებიანი და მისაღები. ვებ-პორტალი მომხმარებელს აძლევს ინფორმაციას პორტირებით სარგებლობის შესახებაც.

აღსანიშნავია, რომ „მობილური ტარიფების მრჩეველის“ შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ ითვალისწინებს ისეთ სპეციფიკურ შეთავაზებებს, როგორებიც არის: პაკეტებით შემქნილი მომსახურების ღირებულება და ბრენდებს შორის შიდა ზარების ღირებულება, ანუ შემთხვევებს, როდესაც ბრენდებს შორის ზარების საფასური განსხვავდება ქსელის შიგნით ზარების საფასურისგან.



### *მობილური ტელეფონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზეგავლენა ადამიანზე*

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მობილური ტელეფონი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მომხმარებლების მიერ ნაკლებად საშიში მობილური ტერმინალური მოწყობილობების შერჩევისა და მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, შეესწავლა მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერჯის მავნე ზემოქმედების დასაშვები ნორმები და მოსახლეობისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ელექტრომაგნიტური გამოსხივებისაგან თავდაცვის ღონისძიებების შესახებ.

2005 წელს საერთაშორისო ელექტროტექნიკურმა კომისიამ (International Electrotechnical Commission, IEC) შეიმუშავა მობილური ტელეფონის ენერჯის შთანთქმის ფარდობითი კოეფიციენტის (SAR) გაზომვის სტანდარტი – IEC 62209-1. მისი გაზომვის ერთეულია ვტ/კგ – ანუ სხეულის გარკვეულ მასაზე მოსული სიმძლავრე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თავი მოუყარა მობილური ტელეფონის 69 მწარმოებელი კომპანიის 2800-მდე მობილური ტელეფონის SAR-ის მონაცემებს და შექმნა ონლაინ მობილური ინფორმერი, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და კომისიის Facebook-ის ფან-გვერდზე განთავსდა. მობილური ტელეფონების აბონენტებს და პოტენციურ მყიდველებს შესაძლებლობა აქვთ, მობილური ტელეფონის აპარატის შერჩევისას, ინფორმაცია მიიღონ SAR-ის მონაცემების შესახებ.

### *საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობა*

2011 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, გამოცხადდა ღია კონკურსი მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევად, თუმცა გამარჯვებულის გამოვლენა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების დამცველის სამსახური უწყვეტად განაგრძობდა საქმიანობას.

2011 წლის განმავლობაში **საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში** შემოვიდა 48 წერილობითი განცხადება და 45 ზეპირი სატელეფონო საჩივარი.<sup>1</sup> წინა წლებთან შედარებით საჩივრების რაოდენობამ არსებითად იკლო. საჩივრების კლებალობა, ნაწილობრივ, განპირობებულია ცალკეული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებით. მაგალითად, ადგილობრივი სატელეფონო კავშირის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებით ციფრულ ქსელებზე გადასვლის შედეგად. ნაწილობრივ ზემოაღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია კომისიისა და საზოგადოებრივი დამცველის

---

<sup>1</sup> 2010 წლის მარტიდან 2011 15 მარტის ჩათვლით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოვიდა 47 წერილობითი განცხადება და 61 ზეპირი საჩივარი;

2009 წლის მარტიდან 2010 წლის მარტამდე – 60 წერილობითი განცხადება და 81 ზეპირი საჩივარი.

სამსახურის მიერ მიღებული პრევენციული ზომებით. თუმცა, ამასთანავე, როგორც ამას პრაქტიკა აჩვენებს, საჩივრების კლებადობა მიუთითებს მომხმარებლების მეტი ინფორმირების აუცილებლობაზე მათი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში მომხმარებელი მიმართავს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს კონკრეტული პრობლემით, მაგრამ არ სურს საკუთარი თავის იდენტიფიცირება და განცხადების შემოტანა, რის გამოც შეუძლებელია ასეთი მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

მართალია, სამსახურში შემოსული საჩივრების რაოდენობამ იკლო, მაგრამ ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი მომსახურების პაკეტების დანერგვასთან ერთად, მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა. სამსახურში შემოსული მთელი რიგი საჩივრები ეხება ერთდროულად რამდენიმე მომსახურების სახეს ან/და თემატურად მომხმარებლის უფლებათა დარღვევის რამდენიმე სახეს (მაგალითად, მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება და მომსახურების საფასურის მისთვის უსაფუძვლოდ დარიცხვა). აქედან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების ცალკეულ ცხრილებში ეს ფაქტორები გათვალისწინებულია და საჩივრები აღრიცხულია არა შემოსული განცხადებების რაოდენობის მიხედვით, არამედ განცხადებაში აღნიშნული პრობლემებისა და მოთხოვნების სახეების გათვალისწინებით.

2011 წელს საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობის მიმართულება განისაზღვრა შემდეგი სახის საკითხებზე მუშაობით:

- უხარისხო ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;
- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვის სისწორე;
- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა;
- მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის კანონიერება;
- მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება;
- მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის სრულყოფის ხელშეწყობა.

**უხარისხო ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება.** უხარისხო მომსახურების მნიშვნელოვანი წილი მოდის კავშირის დაზიანების გამო სატელეფონო და ინტერნეტმომსახურების შეწყვეტის ან წყვეტით მიწოდების შემთხვევებზე. უმრავლეს შემთხვევაში სამსახურში იყო შემოსული იმ მომხმარებლების საჩივრები, რომელთა მიმართვამ მომსახურების მიწოდებელი კომპანიებში შედეგი არ გამოიღო. მომსახურების მიწოდებლები აჭიანურებდნენ მომსახურების ხარვეზების აღმოფხვრის ან საერთოდ მომსახურების აღდგენის პროცესს. ამასთან, არ უზრუნველყოფდნენ აბონენტებს მომსახურების სრულად აღდგენის ზუსტი ვადების შესახებ ინფორმაციით. მხოლოდ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩარევის შედეგად დაჩქარდა მომხმარებლებისთვის მომსახურების ხარვეზების აღმოფხვრა და მომსახურების აღდგენა.

**ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვის სისწორე.** კვლავ აქტუალური რჩება მომხმარებლებსა და მომსახურების მიწოდებელ კომპანიებს შორის დავა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების სისწორეზე. ხშირად სადაო დავალიანების შემთხვევები გამოწვეული იყო მომხმარებელთათვის მომსახურების პირობების შესახებ არასათანადო ინფორმაციის მიწოდებით ან ტექნიკური ხარვეზის გამო. მთელ რიგ შემთხვევებში საზოგადოებრივი

დამცველის სამსახურის მოთხოვნის შემდეგ, არაერთი კომპანიის აბონენტს ჩამოეწერა დარიცხული დავალიანება, რომელსაც ის სადაოდ ხდიდა.

**ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა.** სამსახურში შემოსულია არაერთი საჩივარი, რომელიც ეხება სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღების (პირველადი ჩართვა) შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს ან ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნებას. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა ამა თუ იმ მომსახურების მიღების მსურველი მიმართავდა მომსახურების მიწოდებელ კომპანიას და მისთვის მომსახურების ჩართვის პროცესი დროში ჭიანჭურდებოდა ან ტექნიკური საშუალების არარსებობის საფუძველით უარს ღებულობდა. სამსახურის ჩარევის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, საკითხი მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყდა და მომსახურების ჩართვის პროცესი დაჩქარდა.

**მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის კანონიერება.** სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა მომსახურების შეწყვეტასთან დაკავშირებით, იყო სამართლებრივად უსაფუძვლო. უმრავლეს შემთხვევაში, მომხმარებლებისთვის მომსახურება შეწყვეტილი იყო „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით დადგენილი ვადებისა და პირობების დაცვით. განსხვავებული მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს მომხმარებლის საჩივარი, რომელშიც ის სადაოდ ხდიდა მისთვის მომსახურების შეზღუდვის ფაქტს. მომხმარებელს სრულად გადახდილი ჰქონდა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანება და, ამასთან, არ ჰქონდა ადგილი რაიმე დაზიანებას. სამსახურის ჩარევის შემდეგ მომხმარებელს აღუდგა ტრანზიტით მაუწყებლობის მიწოდება.

**მომხმარებლების არასათანადო ინფორმირება.** კვლავ აქტუალურია მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირების პრობლემა. სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა (მათ შორის, ის საჩივრებიც, რომლებიც აქამდე განხილულ იქნა ანგარიშში) ეხება მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობას ან მომსახურების მიწოდებლების მიერ მომხმარებლებისთვის უზუსტო, არასწორი და ბუნდოვანი ინფორმაციის მიწოდებას.

მთელი რიგი საჩივრები სადაო დავალიანებასთან დაკავშირებით განპირობებული იყო სწორედ მომსახურების მიწოდებელი კომპანიების მიერ მომხმარებლების ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობით. სამსახურის ჩარევის შემდეგ, არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე მიღებული მომსახურების საფასური აბონენტებს ჩამოეწერათ.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აგრძელებს სხვადასხვა ზომების მიღებას მომხმარებლების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, სამსახური კონსულტაციებს უწევს მომხმარებლებს მათი უფლებების შესახებ. მომხმარებლები ღებულობენ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რისი მოთხოვნის უფლება აქვთ მომსახურების მიწოდებლებისგან. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ სამსახურს ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით, ასევე, პირადად გაესაუბრონ სამსახურის წარმომადგენლებს მათთვის მიწოდებულ ან მისაწოდებელ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. 2011 წელს მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა უზრუნველყო **845** კონსულტაციის გაწევა მომხმარებლებისთვის.

მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური ინტენსიურად უწევს კონსულტაციებს ასევე, მომსახურების მიწოდებელ კომპანიებს მათი ვალდებულებების თაობაზე. სამსახური ხშირად მიმართავს მომსახურების მიწოდებლებს და მოითხოვს მათგან აბონენტებისთვის



და პოტენციური მომხმარებლებისთვის ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეფექტური მექანიზმების შექმნას. სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ დაზუსტდა მათ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მომსახურების პირობები და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირების პრობლემის აქტუალობამ ასახვა ჰპოვა კომისიის 2011 წლის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ, საგულისხმოა კომისიის 2011 წლის 17 მაისის №247/18 და 2011 წლის 24 ივნისის №310/16 გადაწყვეტილებები. აღნიშნული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ მათ საფუძველზე დღის წესრიგში დადგა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების რეკლამის სტანდარტების რეგლამენტირების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული სატელევიზიო რეკლამის წარწერაში შრიფტის ზომა და ეკრანზე წარწერის ჩვენების ხანგრძლივობა, კომისიამ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს, კერძოდ, შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“ და შპს „მობიტელს“ ხსენებული გადაწყვეტილებებით დაავალა მათ მიერ ტელევიზიით გავრცელებული ყველა სარეკლამო რგოლის (სამაუწყებლო რეკლამის) საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (მომხმარებლებისთვის) ადვილად აღქმადი ფორმით დამზადებული სახით განთავსება. 2011 წლის 23 სექტემბრის №8 დადგენილებით კომისიამ განსაზღვრა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების რეკლამაში გამოყენებული წარწერების შრიფტის ზომისა და მათი ეკრანზე განთავსების ხანგრძლივობის სტანდარტები.

აღსანიშნავია, კომისიის 2011 წლის 16 დეკემბრის №784/18 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „მაგთიკომს“ მიეცა გაფრთხილება მის მიერ ტელევიზიით არასათანადო -შეცდომაში შემყვანი რეკლამის (მომსახურების არსებითი პირობის რეკლამაში მიუთითებლობა) გავრცელების გამო და დაევალა ამ რეკლამის ტელევიზიით გადაცემის შეჩერება ან იმგვარად კორექტირება, რომ მასში ასახულიყო რეკლამირებული მომსახურების პირობებთან დაკავშირებული არა შეცდომაში შემყვანი, რეალური და სანდო ინფორმაცია.

მომხმარებლების მიერ ინფორმაციის მიღების უფლების დაცვას ემსახურება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები სამაუწყებლო კომერციული რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წესების მიზანია სამაუწყებლო ეთერით გადაცემების ჩვენებისას სარეკლამო ჭრამ არ დაარღვიოს გადაცემების შინაარსის სრულყოფილი აღქმა მომხმარებლების მიერ. ამ მხრივ საყურადღებოა, კომისიის 2011 წლის 11 მაისის №229/18 გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა „სტუდია მონიტორისა“ და მოქალაქე გივი მგელაძის საჩივრები შპს „რუსთავი 2-სა“ და შპს „ტელეიმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვებებსა და საბავშვო გადაცემებში რეკლამის განთავსებასა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით, სამაუწყებლო კომპანიების დაჯარიმდნენ და დაევალათ სამაუწყებლო ბადეში რეკლამის კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით განთავსება.

**მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან.** სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელ კომპანიათა ხელშეკრულებები, რომლებიც არ შეიცავდნენ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით დადგენილ სავალდებულო პირობებს. მაგალითად, აღნიშნულ ხელშეკრულებებში არ იყო ასახული ინფორმაცია როგორც თავად მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებების, ისე მომხმარებელთა უფლება-მოვალეობის შესახებ. ასევე, ხშირად ადგილი ჰქონდა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო პირობების დაწესებას,

რომლებიც არღვევდნენ მომხმარებელთა უფლებებს. სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ სახელშეკრულებო პირობები დაკორექტირდა.

სხვადასხვა სახის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების დანერგვა და მომსახურების პირობების მუდმივი ცვლილება განაპირობებს მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ხელშეკრულებების პირობების მუდმივი მონიტორინგის აუცილებლობას. ამიტომ, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

**„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის სრულყოფის ხელშეწყობა.**

2011 წელს საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აქტიურად იყო ჩართული კომისიის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების პროექტების შემუშავების პროცესში. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება მომხმარებლების უფლებრივი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებას.

კომისიის მიერ რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი სატელეფონო და მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან, მომხმარებლის მოთხოვნით, უფასოდ შეზღუდონ მომსახურების სახეები, თუ ასეთი შეზღუდვა არ იწვევს მათი მხრიდან დამატებით ხარჯს; ასევე, მისცენ უფლება მომხმარებელს შეიტანოს ცვლილებები არჩეულ მომსახურების პაკეტში. კომისიის დადგენილებით რეგლამენტში აისახა მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის დარიცხვისა და ანგარიშის წარდგენის წესი, რომელიც ემსახურება მომხმარებლის მიერ გაწეული ხარჯების გაკონტროლების გამარტივებას. აღნიშნული წესი დაიცავს მომხმარებელს იმ შემთხვევებისგან, როცა მას მომსახურების გაწევიდან ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, მოულოდნელად წარმოდგენილი ანგარიშები მძიმე ეკონომიკურ ტვირთად აწვებოდა.

რეგლამენტში შესული ცვლილებებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები დაეკისრათ მომსახურების მიმწოდებლებს, მათ შორის, ინდივიდუალური შეტყობინებით მომხმარებელთა წინასწარი ინფორმირების ვალდებულება მომსახურების პირობების ცვლილებების, მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ახალი წესი, რომელიც ავალდებულებს მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს, გამოაქვეყნონ მომსახურების პირობების შესახებ ინფორმაცია თავის ვებ-გვერდზე. არსებითი მნიშვნელობისაა ელექტრონული საკომუნიკაციო სამაუწყებლო რეკლამისთვის რეგლამენტით დაწესებული სავალდებულო სტანდარტები, რაც ემსახურება მომხმარებლისთვის აღქმადი, გასაგები ინფორმაციის მიწოდებას და მათი შეცდომაში შეყვანის შემთხვევების აღკვეთას. არსებითად გაუმჯობესდა მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობა კომისიის მიერ მომხმარებლის მიერ სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის პირგასამტეხლოს დაწესების აკრძალვის შედეგად. კომისიის მიერ რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მოქმედება გავრცელდა, ასევე, მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების მიმწოდებელთა საქმიანობაზეც.



## განცხადებების სტატისტიკა

2011 წელს, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, ყველაზე დიდი რაოდენობის საჩივარი შემოვიდა ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მომხმარებლებისგან. საჩივრების სიმრავლის მიხედვით, მეორე ადგილზეა საჩივრები ინტერნეტმომსახურებასთან დაკავშირებით. სამსახურის ჩარევის შემდეგ მომხმარებელთა მოთხოვნები უმრავლეს შემთხვევაში დაკმაყოფილდა (იხილეთ №1 და №2 ცხრილები<sup>1</sup>).

### ცხრილი №1<sup>2</sup>

| წერილობითი განცხადებები   |                       |                         |                     |    |
|---|-----------------------|-------------------------|---------------------|----|
| თემატიკა  | განცხადების რაოდენობა | მოთხოვნა დაკმაყოფილდა   | დარღვევა დადასტურდა | არ |
| ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება                                | 14                    | 7                       |                     | 7  |
| მობილური სატელეფონო მომსახურება                                   | 9                     | 5                       |                     | 4  |
| ინტერნეტმომსახურება   | 11                    | 9                       |                     | 2  |
| ტრანზიტით მაუწყებლობა   | 5                     | 3 (აქედან 1 ნაწილობრივ) |                     | 2  |
| საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება                            | 2                     | 1                       |                     | 1  |
| სატელევიზიო მაუწყებლობა   | 4                     | 2 (აქედან 1 ნაწილობრივ) |                     | 2  |
| რადიომაუწყებლობა  | 1                     |                         |                     | 1  |
| სამმაგი მომსახურება ( ტელეფონი, ინტერნეტი, ტრანზიტით მაუწყებლობა) | 1                     | 1                       |                     |    |
| სხვა (სცდება სამსახურის კომპეტენციას)                             | 4                     |                         |                     |    |
| სულ   | 51                    | 28                      |                     | 19 |

### ცხრილი № 2

| ზეპირი (სატელეფონო) საჩივრები      |                       |                       |                     |    |
|------------------------------------|-----------------------|-----------------------|---------------------|----|
| თემატიკა                           | განცხადების რაოდენობა | მოთხოვნა დაკმაყოფილდა | დარღვევა დადასტურდა | არ |
| ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება | 26                    | 20                    |                     | 6  |
| მობილური სატელეფონო მომსახურება    | 2                     | 2                     |                     |    |

<sup>1</sup> ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ სამსახურში შემოსული ზოგიერთ განცხადება ეხებოდა რამდენიმე სახის მომსახურებას და, შესაბამისად, მოიცავდა რამდენიმე მოთხოვნას, რის გამოც მოხმარებელთა მიერ დაყენებული პრეტენზიები (მოთხოვნები) გადანაწილდა მომსახურების სახეების მიხედვით. უშუალოდ შემოსული წერილობითი განცხადებების რაოდენობა არის 48, ხოლო ზეპირი სატელეფონო საჩივრების რაოდენობა - 45.

<sup>2</sup> ცხრილ №1-ში წარმოდგენილი მონაცემების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ სამსახურში ზოგიერთ წერილობითი განცხადება შემოვიდა ხელმოწერად მოთხოვნის დაზუსტების ან/და დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემები ცხრილში ასახული არ არის.



|   |           |           |          |
|---|-----------|-----------|----------|
| ინტერნეტმომსახურება   | 8         | 6         | 2        |
| ტრანზიტით მაუწყებლობა   | 5         | 5         |          |
| საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება                            | 1         | 1         |          |
| სამმაგი მომსახურება ( ტელეფონი, ინტერნეტი, ტრანზიტით მაუწყებლობა) | 3         | 3         |          |
| სატელევიზიო მაუწყებლობა   | 1         | 1         |          |
| სხვა (სცდება სამსახურის კომპეტენციას)                             | 3         |           |          |
| <b>სულ</b>  | <b>49</b> | <b>38</b> | <b>8</b> |

ქვემოთ მოცემულია საჩივრების სტატისტიკური მონაცემები იმ პრობლემების სახეების მიხედვით, რომლებსაც მომხმარებლები აწყდებიან მომსახურების მიწოდებლებთან ურთიერთობის დროს. რაოდენობრივი მაჩვენებლით პირველ ადგილზეა უხარისხო ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება (29 შემთხვევა), მეორე ადგილზეა სადავო დავალიანება (23 შემთხვევა), მესამე ადგილზეა მომსახურების პირველადი ჩართვა (11 შემთხვევა) და არასათანადო ინფორმირება (11 შემთხვევა, იხილეთ №3 და №4 ცხრილები).

### ცხრილი №3

| მომხმარებელთა პრეტენზიების სახეები (წერილობითი)  |                        |                         |                     |           |
|--|------------------------|-------------------------|---------------------|-----------|
| თემატიკა   | განაცხადების რაოდენობა | მოთხოვნა დაკმაყოფილდა   | დარღვევა დადასტურდა | არ        |
| მიუღებელი მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვა, სადავო დავალიანება, თანხის უსაფუძვლოდ ჩამოჭრა         | 16                     | 11                      |                     | 5         |
| უხარისხო მომსახურება, ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება, მომსახურების შეფერხებით მიწოდება | 6                      | 6                       |                     |           |
| მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა (მომსახურების აღდგენა)  | 6                      | 1                       |                     | 5         |
| არასათანადო ინფორმირება, ინფორმირების პირობები   | 9                      | 7 (აქედან 1 ნაწილობრივ) |                     | 2         |
| პორტირება  | 1                      |                         |                     | 1         |
| მომსახურების პირველადი ჩართვა  | 5                      | 4                       |                     | 1         |
| მომსახურების პირობების ცვლილების თაობაზე, (მათ შორის, ტარიფის ცვლილების გასაჩივრება)                 | 2                      | 1                       |                     | 2         |
| მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმი  | 2                      | 1 ნაწილობრივ            |                     | 1         |
| ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, ინფორმაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა                        | 1                      | 1                       |                     |           |
| შელავათები   | 1                      |                         |                     | 1         |
| <b>სულ</b>   | <b>49</b>              | <b>32</b>               |                     | <b>18</b> |

**ცხრილი № 4**

| მომხმარებელთა პრეტენზიების სახეები (სატელეფონო საჩივრები)  |                        |                       |                     |          |
|--|------------------------|-----------------------|---------------------|----------|
| თემატიკა   | განაცხადების რაოდენობა | მოთხოვნა დაკმაყოფილდა | დარღვევა დადასტურდა | არ       |
| მიუღებელი მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვა, სადაო დავალიანება, თანხის უსაფუძვლოდ ჩამოჭრა          | 7                      | 5                     |                     | 2        |
| უხარისხო მომსახურება, ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება, მომსახურების შეფერხებით მიწოდება | 23                     | 20                    |                     | 3        |
| მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა (მომსახურების აღდგენა)  | 4                      | 1                     |                     | 3        |
| არასათანადო ინფორმირება, ინფორმირების პირობები   | 2                      | 2                     |                     |          |
| მომსახურების პირველადი ჩართვა  | 6                      | 6                     |                     |          |
| მომსახურების პირობების ცვლილების თაობაზე (მათ შორის, ტარიფი) (ცვლილების გასაჩივრება)                 | 4                      | 3                     |                     | 1        |
| სხვა   | 3                      |                       |                     |          |
| <b>სულ</b>   | <b>49</b>              | <b>37</b>             |                     | <b>9</b> |

**ნუმერაციის რესურსის მართვა**

2011 წელს საქართველოში ნუმერაციის ახალი ეროვნული გეგმა დაინერგა. ცვლილებები შეეხო, როგორც სააბონენტო ნომრებს, ასევე გეოგრაფიული ნუმერაციის ზონის კოდებს; ასევე შეიცვალა ქსელიდან ქსელში გამავალი ზარის დარეკვის წესი და ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო პრეფიქსები. შემოღებული იქნა ევროპული სტანდარტების შესაბამისად "0" (ეროვნული) და "00" (საერთაშორისო) პრეფიქსები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობით ცვლილებები მთელი წლის მანძილზე ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად შეიცვალა საქალაქთაშორისო გეოგრაფიული ზონის კოდები, შემდეგ ცვლილებები განხორციელდა ფიქსირებული ქსელის, მობილური ქსელის და ფიქსირებული უსადენო ქსელის სააბონენტო ნუმერაციაში. მომდევნო ეტაპი იყო სპეციალური და საგანგებო ნუმერაციის ცვლილება და ბოლოს შეიცვალა საერთაშორისო დაშვების კოდები და ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო პრეფიქსები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, ხელმძღვანელობდა ამ პროცესს და ხაზგასასმელია, რომ როგორც კომისიის ძალისხმევით, ასევე საქართველოში მოქმედი სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების დიდი შრომის ფასად, ნუმერაციის ახალი ეროვნული გეგმის დანერგვა საქართველოს მოსახლეობისთვის უპრობლემოდ განხორციელდა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თითოეული ცვლილების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე საზოგადოების ინფორმირებისთვის საინფორმაციო კამპანია აწარმოა. წამყვანი მაუწყებლების ეთერში, ნუმერაციის ახალი ეროვნული გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული ცვლილების შესახებ სარეკლამო რგოლები ტრიალებდა. ასევე, კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.gncc.ge](http://www.gncc.ge)) და კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ვებგვერდებზე თვალსაჩინო ადგილას ამომწურავი ინფორმაცია იყო განთავსებული ნუმერაციის ახალ ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიმდინარე ცვლილებებზე.

გარდა ამისა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნით, საგანგებო მდგომარეობაში მუშაობდა ყველა სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის ცხელი ხაზი და საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა მიმდინარე ცვლილებებზე. ასევე, კომისიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ ნუმერაციის ახალი ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ცვლილებების გარდამავალ ეტაპზე, აბონენტი ძველი კომბინაციით აკრეფდა სააბონენტო ნომერს ან გეოგრაფიულ კოდს, ან საგანგებო-სპეციალურ ნუმერაციას, ან საერთაშორისო დაშვების კოდს, ავტომოპასუხე მას ატყობინებდა ამის შესახებ და ასევე განუმარტავდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სასურველი ზარის გახორციელება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ნუმერაციის ახალ ეროვნულ გეგმაში განხორციელებულ თითოეულ ცვლილებას 24 საათის განმავლობაში უწევდა მონიტორინგს და შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ ეს ცვლილებები წარმატებით განხორციელდა.

## რადიოსიხშირული სპექტრის რესურსების მართვა, რადიომონიტორინგი და კოორდინაცია

რადიოსიხშირული სპექტრის რესურსების მართვის, რადიომონიტორინგისა და კოორდინაციის კუთხით, 2011 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი სამუშაო განახორციელა კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა. კერძოდ: დეპარტამენტმა შეიმუშავა პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც მონიტორინგის მობილურ ჯგუფს მიეცემა შესაძლებლობა, რათა განახორციელოს რადიო და ტელემაუწყებლობის მონიტორინგის ჩატარების დროს შეგროვებული გრაფიკული მონაცემების (FSP-ანალიზატორით მიღებული გრაფიკული გამოსახულების) შენახვა და ინტეგრაცია მონაცემთა ბაზაში. აგრეთვე, სისტემას გააჩნია საშუალება მიაბას მონიტორინგის ჩატარების ადგილი და კონკრეტული გადამცემები ერთმანეთს, განახორციელოს ყოველ არჩეულ სიხშირეზე ველის დამაბულობისა და სიგნალის დონის თეორიული გაანგარიშება.

შემუშავდა და დაინერგა:

ა. პროგრამული უზრუნველყოფა FAMS (Frequency Allocation and Monitoring System) რომელსაც გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები:

- ყველა სიხშირული რესურსის ვიზუალური ასახვა - პროგრამული გარსის საშუალებით ვიზუალურად ისახება ვადაგასული გადაწყვეტილების შესაბამისი სიხშირეები, ასევე, სიხშირეები, რომლის მინიჭების ვადა გადის უახლოეს 1 თვეში;
- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის ინტეგრაცია FAMS - სისტემაში, რათა მოხდეს ორმაგი გადამოწმება სიხშირეების გაცემის დროს;



- ვიზუალური და აზრობრივი გამიჯვნა სიხშირეებისა, რომლებიც მუშაობენ გადაცემაზე და მიღებაზე;
- თავისუფალი და დაკავებული ზოლების გაზომვის საშუალებები;
- მთლიან სპექტრზე დაკვირვების მექანიზმი;
- არსებული მონიტორინგის მონაცემების ვიზუალიზაცია თითოეულ სიხშირეზე დაკვირვების დროს;
- ორგანიზაციების მონაცემთა ინტეგრაცია FAMS - სისტემაში, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს მონაცემების უფრო ოპერატიულად შეტანის ან კორექტირების დროს;
- ITU-ს მიერ გაცემული რეკომენდაციების აღწერა და ინტეგრაცია FAMS - სისტემაში.

ბ. მონაცემთა ბაზის ახალი სტრუქტურა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის შენახვა და დამუშავება - საიტების, მათზე განთავსებული მიმღებ-გადამცემების, პორტატული რადიოებისა და მობილური სადგურების შესახებ. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, რაც გვაძლევს საშუალებას ყველა ლიცენზიის და/ან გადაწყვეტილების მფლობელმა თავად შეიტანოს ცვლილებები და დაზუსტებები მის მიერ გამოყენებულ აპარატურულ/ტექნიკური ბაზაში.

გ. მონაცემთა ბაზასა და ციფრულ რუკებს შორის კავშირი, რომლითაც ხდება ყველა სატელევიზიო და რადიო არხის დატანა საქართველოს რუკებზე; აღნიშნული გვაძლევს თავისუფალი რესურსების სწორი განაწილების საშუალებას, აგრეთვე სამომავლო დაგეგმარების პროცესში მისი გამოყენების და გეოგრაფიული ზონების მიხედვით არხების ოპტიმალურად განაწილების შესაძლებლობას.

დ. კომისიის ელექტრონულ ვებ-გვერდზე შესაბამისი ლინკი, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა, შევიდნენ კომისიის მონაცემთა ბაზაში, დაათვალიერონ მათთვის მინიჭებული სიხშირეები, აღრიცხონ მათ მფლობელობაში არსებული ყველა ტიპის რადიოელექტრონული მოწყობილობა, შეავსონ ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ საკონტაქტო თუ ადმინისტრაციულ მონაცემებში.

ე. სიხშირეების ტექნიკური დანართების ელექტრონული ფორმით აღრიცხვის მექანიზმი, რომლის შევსება ხდება on-line რეჟიმში, ხოლო ანგარიში თითოეულ შევსებულ ბლანკზე ავტომატურად აისახება მონაცემთა ბაზაში.

ვ. კომისიაში არსებული on-line პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზების დაცვის მექანიზმი; განისაზღვრა იმ პროვაიდერებისა და ქვეყნების უფლებები, საიდანაც შესაძლებელია შესვლა ჩვენს სისტემაში რათა მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო კომისიის უწყებრივი რეესტრი.

შემუშავდა რადიოდაფარვის ანალიზის სისტემა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, როგორც არსებული მდგომარეობის გადამოწმებისათვის, ასევე - სასაზღვრო რეგიონებთან კოორდინაციისათვის; უზრუნველყოფილი იქნა თეორიული დაფარვა და ველის დამაბულობის განსაზღვრა სამაუწყებლო რეგიონებში, არსებული GSM და CDMA სადგურების დაფარვის ზონის გათვლა და სხვა. ამასთანავე, დამატებით იყო განხილული საკითხები, რომლებიც შეეხება Geneva 06 გეგმის მოდიფიკაციას და მასში დამატებების შეტანას.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ახალი ელექტრონული კომპიუტერული პროგრამა WISFAT-ის გამოყენებით, განხორციელდა სიხშირეთა კოორდინაციით გათვალისწინებული სამუშაოები სამაუწყებლო და საზღვაო-სანაოსნო სამსახურებისთვის. მუდმივად წარმოებდა მეზობელი ქვეყნების ტელე და რადიოსამაუწყებლო სადგურების კოორდინაცია. განხორციელდა Geneva 06-ის

გეგმით გათვალისწინებული ციფრული სამაუწყებლო სადგურების მოდიფიცირება საქართველოს მთლიანი ტერიტორიისთვის, რაც გამოქვეყნდა ITU-ს საინფორმაციო ბიულეტენში (BRIFIC 2709, 13.12.2011).

გაგრძელდა მუშაობა უსაფრთხოების გლობალური სისტემის პერსონალური რადიოშუქურების PLB-ის საქართველოში გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით, რათა იგი თანხვედრაში იყოს ევროპის ჰარმონიზებულ პრაქტიკასთან, როგორც ეს მოცემულია CEPT-ის შესაბამისი რეკომენდაციებით. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან.

განხორციელდა სიხშირული ზოლების, აუქციონის ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესით გაცემის მიზნით, ფიქსირებული სიხშირეების, სიხშირული წყვილებისა და სიხშირული ზოლების შერჩევა, დაგეგმვა, შეფასება, გადაწყვეტილების პროექტების და ტექნიკური დასკვნების მომზადება.

სხვადასხვა კომპანიისათვის შეირჩა რადიოსარელეო სიხშირეები და სიხშირული წყვილები 119 მიმართულებაზე (პუნქტიდან პუნქტამდე) და მაგისტრალურ ხაზებზე რადიოსარელეო სადგურების ფუნქციონირებისათვის.

საანგარიშო წლის განმავლობაში, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2004 წლისთვის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოყენებული სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო სიხშირეების დაზუსტება; საბოლოო ჩამონათვალი გადაეგზავნა საზოგადოებრივ მაუწყებელს კორექტირებისათვის.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა რადიომონიტორინგით გათვალისწინებული სამუშაოები, რადიოკავშირის VHF და UHF, სატელევიზიო, FM რადიოსამაუწყებლო, მიკროტალღოვანი ინტეგრირებული ტელერადიო საინფორმაციო სისტემის (მიტრისი) და რადიოსარელეო სიხშირულ დიაპაზონებში, რადიოხელშემღების გამოვლენის მიზნით.

რადიომონიტორინგისა და საპელენგაციო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა უკანონო და სალიცენზიო პირობების დარღვევებით მოქმედი, რადიოკავშირის VHF და UHF და სარელეო სადგურების ფუნქციონირება, რაზეც შედგენილია ექვსი "შემოწმების აქტი" (საფუძველი: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი) და 14 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საფუძველი: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 144<sup>1</sup> მუხლის I ნაწილი).

ქ. თბილისში, მონიტორინგის მართვის ცენტრში (MCC) განხორციელებული 24-საათიანი, სადღეღამისო მორიგეობის განმავლობაში განხორციელდა თავისუფალი და ვადაგასული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სიხშირეების სკანირება, მათი დაკავებულობის შესწავლა და სავარაუდო სიხშირეების წინასწარი შერჩევა; უკანონო რადიოკავშირის დაფიქსირების შემთხვევაში ხორციელდებოდა რადიოსიხშირული სპექტრისა და აუდიოსიგნალების ჩაწერა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც შესასწავლად და სათანადო რეაგირებისათვის, გადაეცემოდა მონიტორინგის მართვის ცენტრის ხელმძღვანელობას; ტარდებოდა ყოველდღიური მონიტორინგი სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო სიხშირულ დიაპაზონებში; ხორციელდებოდა მიღებული შედეგების ყოველდღიური გადამოწმება.





ხელშეშლების წარმოქმნის შემთხვევაში, ხელშეშლელი წყაროს დაფიქსირების მიზნით ხორციელდებოდა სპეციალური დაკვირვებები RMS-1 და RMS-2 სადგურებში განთავსებული აპარატურის მეშვეობით (R&S FSP3, R&S EB200, OAR4400) კონკრეტულ სიხშირეებზე; ტარდებოდა კონკრეტული სიხშირეების ინტენსიური რადიოკონტროლი, მიღებული შედეგები გადაეცემოდა მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელობას. ხელშეშლების ან უკანონო მაუწყებლობისა და რადიოკავშირის შემთხვევაში, ტარდებოდა რადიოსაპელენგაციო სამუშაოები, დგინდებოდა ხელშეშლების წყარო და მისი სავარაუდო ადგილსამყოფელი. 2011 წლის განმავლობაში გამოვლინდა რადიოხელშეშლების 24 შემთხვევა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგენილი იქნა ხელშეშლების წყაროები და მიღებული იქნა შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

რადიომონიტორინგის სისტემის ურთის სტაციონარული სადგურიდან ხორციელდებოდა 24-საათიანი, სადღეღამისო მორიგეობა, რომლის დროსაც: ტარდებოდა სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო არხების მონიტორინგი დღე-ღამეში 5–ჯერ: 8:00, 12:00, 16:00, 20:00 და 24:00 საათებზე RMS -1 და RMS-2 სადგურებით. მიმდინარეობდა თავისუფალი და ვადაგასული გადაწყვეტილებების შესაბამისი სიხშირეების კონტროლი. ხორციელდებოდა ხელშეშლებზე და უკანონო მაუწყებლობაზე დაკვირვება. სიხშირული დაგეგმარების პროექტებისათვის სათანადო მონაცემების დადგენის მიზნით, ხორციელდებოდა კოორდინაცია მონიტორინგის მართვის ცენტრთან (MCC) და გამსვლელ ჯგუფთან (MMS - K).

2011 წლის 24 ივნისს, კომისიამ მიიღო დადგენილება №5 „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ დამტკიცების თაობაზე კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, კომისიის უწყებრივ რეესტრებს დაემატა რადიოელექტრონული მოწყობილობები და სანებართვო რეესტრები და, შესაბამისად, კომისიას განესაზღვრა ზემოაღნიშნული რეესტრების წარმოების ვალდებულება. რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა 2011 წელს დაიწყო აღნიშნული რეესტრის წარმოება.

## საერთაშორისო საქმიანობა

### *გაწევრიანება მარეგულირებელი ორგანოების ევროპულ პლატფორმაში*

მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმა (European Platform of Regulatory Authorities - EPRA) მაუწყებლობის დარგში ევროპული მარეგულირებელი ორგანოების უმსხვილესი გაერთიანებაა. იგი დაარსდა 1995 წელს და დღეისათვის 53 მარეგულირებელ ორგანოს აერთიანებს.

2011 წლის 26 მაისს, ქ. ოპრიდში, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის გაზაფხულის სესიაზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ოფიციალურად მიენიჭა EPRA-ს წევრის სტატუსი.

EPRA-ში გაწევრიანება კომისიას საშუალებას აძლევს აქტიურად ითანამშრომლოს ევროპის წამყვან მარეგულირებლებთან, მიმართოს რჩევებისთვის და გაიზიაროს მათი გამოცდილება მაუწყებლობის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

### **შავი ზღვის აუზის ქვეყნების მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის მეორე ყოველწლიური შეხვედრა**

2011 წლის 12 დეკემბერს თბილისში ჩატარდა შავი ზღვის მაუწყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის (BRAf - the Black Sea Broadcasting Regulatory Authorities Forum) მეორე ყოველწლიური შეხვედრა.

შეხვედრას დაესწრნენ: აზერბაიჯანის, ალბანეთის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, საქართველოს, სერბეთისა და სომხეთის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა პრეზენტაციები მარეგულირებელი ორგანოების სამაუწყებლო საქმიანობის შესახებ. ასევე გაიმართა დისკუსია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თაობაზე.

შეხვედრაში მონაწილე ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, დაიგეგმება საინფორმაციო ხასიათის ვიზიტებიც. ორგანიზაციის ოფიციალურ ენად ინგლისური ენა დამტკიცდა.

### **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პოლონეთის, პორტუგალიისა და ლიტვის მარეგულირებელ ორგანოებთან**

2011 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა პოლონეთის რესპუბლიკის სატელეკომუნიკაციო სამმართველოსთან, პორტუგალიის რესპუბლიკის მარეგულირებელ ორგანოსთან და ლიტვის რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოსთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მიზნად ისახავს ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას; კერძოდ: ორმხრივი კონსულტაციების გამართვას კომუნიკაციების რეგულირების სფეროში, სპეციალისტების, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

### **მონაწილეობა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნების სამუშაო შეხვედრებში**

"აღმოსავლეთის პარტნიორობის" (Eastern Partnership - EaP) მიზანი არის ევროკავშირისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი) ურთიერთთანამშრომლობა, რათა დაჩქარდეს ამ ქვეყნების ევროკავშირთან პოლიტიკური დაახლოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი.

"აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში, საფუძველი ჩაეყარა ევროპის ქვეყნებისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობასაც.

2011 წლის 30 ივნისს -1 ივლისს ლიტვაში, ტრაკაიში, ჩატარდა ევროკომისიის, ევროპის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების მეორე სამუშაო შეხვედრა (პირველი შეხვედრა გაიმართა 2010 წელს ვენაში, რომლის



შესახებ ინფორმაცია შეტანილია კომისიის 2010 წლის ანგარიშში). შეხვედრას მასპინძლობდა ლიტვის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო, ევროკომისიასთან ერთად.

შეხვედრაზე ევროპული ქვეყნების მარეგულირებლებმა წარმოადგინეს ევროგაერთიანების სამართლებრივი გარემოს მოთხოვნები და თავისი მარეგულირებელი მიდგომები ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიც არის: უნივერსალური მომსახურება, ნაციონალური მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა, ლიცენზირების რეჟიმი, ნომრის პორტაბელურობის დანერგვა, ინტერნეტთან წვდომის მომსახურების ხარისხი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შემდგომი თაობის ქსელებთან წვდომა და სპექტრის მართვა. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებმა წარმოადგინეს მოხსენებები თავიანთი მარეგულირებელი სისტემების შესახებ და ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარების თაობაზე.

2011 წლის 23-24 ნოემბერს, ბარსელონაში, ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, ევროგაერთიანების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანებისა (BEREC) და ლათინური ამერიკის მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანების (REGULATEL) ერთიანი სამიტი. სამიტს ესწრებოდა ევროკომისიის გენერალური დირექტორი, რობერტ მადელინი.

ერთიანი სამიტი, ესპანეთის მარეგულირებელი ორგანოს პრეზიდენტთან, BEREC-ის თავმჯდომარესთან და REGULATEL-ის პრეზიდენტთან ერთად, გახსნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ჩიქოვანმა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენელმა.

ძირითადი სესიების გარდა, გაიმართა 5 მრგვალი მაგიდა: ფართოზოლოვანი მომსახურების, დამოუკიდებელი ნაციონალური მარეგულირებლების როლის, საერთაშორისო როუმინგის, რადიოსიხშირული სპექტრისა და უნივერსალური მომსახურების თემებზე. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები პრეზენტაციით გამოვიდნენ ფართოზოლოვანი მომსახურებისა და რადიოსიხშირული სპექტრის საკითხებზე.

### ***მონაწილეობა TAIEX-ის მიერ ორგანიზებულ სემინარში***

TAIEX-ი არის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, რომელსაც მართავს ევროგაერთიანების გაფართოების პოლიტიკის გენერალური დირექტორი. TAIEX-ი ეხმარება წევრ ქვეყნებს მათი კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და აღსრულებაში.

2011 წლის 9–10 ივნისს, კომისიის წარმომადგენლებმა, ევროკომისიის მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს TAIEX-ის მიერ ორგანიზებულ სემინარში, თემაზე: „ნომრების პორტაბელურობის რეგულირება ევროგაერთიანების საზღვრებს მიღმა“. სემინარი ჩატარდა ბარსელონაში, ესპანეთში.

სემინარის მიზანი იყო ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების ხელშეწყობა მარეგულირებელი გარემოსა და პრაქტიკული საქმიანობის განვითარებაში ნომრის პორტაბელურობის დანერგვის თვალსაზრისით.

სემინარზე იმსჯელეს ნომრის პორტაბელურობის დანერგვის სამართლებრივ, ტექნოლოგიურ და პროცედურულ საკითხებზე. დეტალურად განიხილეს ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების გამოცდილება ნომრის პორტაბელურობის დანერგვისა და შემდგომი რეგულირების კუთხით.

სემინარზე, ევროგაერთიანების ქვეყნების მარეგულირებლების გარდა, პრეზენტაციით მხოლოდ საქართველო გამოვიდა. პრეზენტაციის სახელწოდება იყო: „ნომრის პორტაბელურობის წარმატებულად დანერგვის განმსაზღვრელი ფაქტორები და საქართველოს გამოცდილება“.

საქართველოს დელეგაციის პრეზენტაციას, საქართველოში სააბონენტო ნომრის პორტირების წარმატებით განხორციელების მაგალითს, დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც ახლა იწყებენ ამ მომსახურების დანერგვას. აზერბაიჯანის მარეგულირებელმა ორგანომ, ნომრის პორტაბელურობის დანერგვასთან დაკავშირებით, საქართველოს გამოცდილება გაიზიარა; მოლდოვასა და უკრაინის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები, უახლოეს მომავალში, საქართველოში ჩამოსვლას და ნომრის პორტირების დანერგვისა და შემდგომი მართვის პროცესის გაცნობას გეგმავენ.

### ***მონაწილეობა საერთაშორისო და რეგიონალურ სამუშაო შეხვედრებში, სემინარებსა და კონფერენციებში***

2011 წლის თებერვალში, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციის (WRC 2012) მოსამზადებელ შეხვედრაში – CPM11-2. შეხვედრა ჩატარდა ჟენევაში.

დეპარტამენტის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, CEPT-ის WG FM-ის შემსწავლელი ჯგუფის მიესბახის (გერმანია) და ლილის (საფრანგეთი) შეხვედრებში. შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მომზადდა საკითხები სიხშირეთა განაწილების ეროვნულ გეგმაში გასათვალისწინებლად.

რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს, ასევე, CEPT-ის ასამბლეის სხდომაში (კოპენჰაგენი, 2011 წლის დეკემბერი). სხდომაზე განხილული იყო სატელეკომუნიკაციო და საფოსტო სფეროების რეგულირების საკითხები.

კომისიისა და პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების, კონკურენციის ხელშეწყობის, რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტების და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სასწავლო ტურებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში პოლონეთში, ვარშავასა და ბორუჩაში.

2011 წლის ოქტომბერში, კომისიის აპარატის სპეციალისტები დაესწრნენ უკრაინის ტელე-რადიომუწყებლობის ეროვნული საბჭოს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის - "ევროპული სტანდარტების განვითარება უკრაინის მედია გარემოში" – ფარგლებში, კიევიში ჩატარებულ საერთაშორისო სემინარს – "ციფრული მაუწყებლობა ევროპაში, ტექნიკური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ასპექტები". სემინარის ძირითადი თემები იყო: ევროპაში ციფრული სისტემების გარემოს ზოგადი მიმოხილვა; ევროპის საბჭოს სტანდარტები, მიდგომები და რეგულირება, რეგიონალური მაუწყებლობა და ციფრული რადიო.

კომისიის აპარატის წარმომადგენლებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს: თურქეთის ქალაქ სტამბოლში შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების ერთობლივ კონფერენციაში; თურქეთის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მარეგულირებელი ორგანოს მიერ ორგანიზებულ სემინარში - „ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება“; LTE მსოფლიო სამიტში



ქალაქ ამსტერდამში; შვეციის ქალაქ სტოკჰოლმში, ერიქსონის ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სემინარში, "ფართოზოლოვანი ტექნოლოგიები ყველასათვის"; საფრანგეთში, ქ. პარიზში ჩატარებულ ფართოზოლოვანი ქსელების მსოფლიო ფორუმში (Broadband World Forum 2011) .

## ერთობლივი პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი ორგანოების თანამონაწილეობით

### *ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტი - "სატელეკომუნიკაციო პოლიტიკა და რეგულირების განვითარება საქართველოში"*

2011 წლის ოქტომბერში, დაიწყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების პროექტი - "სატელეკომუნიკაციო პოლიტიკა და რეგულირების განვითარება საქართველოში". ეს პროექტი საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობის გრძელვადიანი პროგრამის ნაწილია.

პროექტი შედგება ორი კომპონენტისგან: პირველი მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დახმარებას პოლიტიკის შემუშავებაში, ხოლო მეორე კომპონენტი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დახმარებას რიგი მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელებაში, რომელთა მიზანია ბაზარზე კონკურენციის გაძლიერება და ინვესტიციების მოზიდვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებში, კერძოდ - ფართოზოლოვან მომსახურებაში.

### *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და პოლონეთის რესპუბლიკის სატელეკომუნიკაციო სამმართველოს (UKE) ერთობლივი პროექტი - "პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების სამმართველოს გამოცდილების გაზიარება სატელეკომუნიკაციო ბაზრების რეგულირების სფეროში"*

2011 წლის აპრილში დაიწყო და ამავე წლის დეკემბრის დასაწყისში წარმატებით დასრულდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და პოლონეთის რესპუბლიკის სატელეკომუნიკაციო სამმართველოს ერთობლივი პროექტი სახელწოდებით - "პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების სამმართველოს გამოცდილების გაზიარება სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების სფეროში".

პროექტი დააფინანსა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პოლონეთის რესპუბლიკის სატელეკომუნიკაციო სამმართველომ.

პროექტის ფარგლებში განხილული და შესწავლილი იყო შემდეგი საკითხები:

- ელექტრომაგნიტური თავსებადობის ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა და პრაქტიკული გამოცდილება ცენტრალური ტექნიკური კვლევითი ლაბორატორიის მაგალითზე;



- სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენციის მდგომარეობის კვლევა, ანალიზი და რეგულირება;
- ხარჯთაღრიცხვა და ხარჯების კალკულაცია;
- უნივერსალური მომსახურება;
- ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა;
- რადიო სიხშირეების რესურსის ოპტიმალური გამოყენება;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი (მათ შორის ინტერნეტის);
- რადიო სიხშირეების კონტროლი.

**საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს პროგრამა - „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატias, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, დაიწყო მუშაობა საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) პროგრამის - „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატias, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) - განსახორციელებლად.

მუშაობა მიმდინარეობს, ასევე, კომისიის PR სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტზე, საერთაშორისო წამყვანი იურისტების პროექტის ფარგლებში, რომელიც 2012–2015 წლებზეა გათვლილი. პროცესში ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

USAID-ის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი პროგრამა, „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატias, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“, მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა/ხარისხი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ახალი და ტრადიციული პლატფორმების გამოყენებით.

პროექტზე მუშაობა 2011 წლის ოქტომბრის თვეში დაიწყო. პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამი შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიის წარმომადგენლებთან.

პროექტის ფარგლებში, კომისიის ხელმძღვანელობით, 2011 წლის 21–22 სექტემბერს, ქ. თბილისში, ჩატარდა ორდღიანი სემინარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოქმედი ტელეკომპანიებისთვის. სემინარზე განხილული იყო: ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და ლიცენზირების საკითხები, საკაბელო მაუწყებლობა, მისი სპეციფიკა და სიხშირის გამოყენებით მაუწყებლობის სპეციფიკა, ასევე, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და თვითრეგულირების საკითხები, მაუწყებელთა ვალდებულებები და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

2011 წლის 22 დეკემბერს, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ღია კარის დღე“ გამოაცხადა ტელემაუწყებლებისთვის და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებისთვის. ღია კარის დღეზე სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებმა კომისიის PR სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე იმსჯელეს. პროექტის ინიციატორებისა და ავტორების მიზანია, უფრო ეფექტური გახდეს კომისიის ურთიერთობა დარგის წარმომადგენლებთან, მედიასთან და საზოგადოებასთან.

## მაუწყებლობის რეგულირება

### ტელერადიოსამაუწყებლო პრიორიტეტების დადგენა

კომისიასა და „ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი - კვლევას“ (შემდგომში „ბი სი ჯი კვლევა“) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბი სი ჯი კვლევას კომისიამ დაუკვეთა „ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებით განსაზღვრულ 25 სამაუწყებლო ზონაში საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თითოეულ სამაუწყებლო ზონაზე განცალკევებულად და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე - ეროვნული მაუწყებლობისათვის;

კომისიის მიერ დაკვეთილ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში ასახული უნდა ყოფილიყო შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) საზოგადოებრივი დამოკიდებულება და მოთხოვნები სათემო ტელე და რადიო მაუწყებლობის მიმართ და თემატური შინაარსი;
- ბ) საზოგადოებრივი დამოკიდებულება და მოთხოვნები კერძო ტელე და რადიო სპეციალიზებული მაუწყებლობის მიმართ და თემატური შინაარსი;
- გ) საზოგადოებრივი დამოკიდებულება და მოთხოვნები კერძო ტელე და რადიო საერთო მაუწყებლობის მიმართ;
- დ) საზოგადოებრივი დამოკიდებულება და მოთხოვნები მაუწყებლობის განხორციელების ტექნოლოგიური საშუალებების (საეთერო, საკაბელო, თანამგზავრული, ციფრული და ა.შ) მიხედვით;

შპს „ბი სი ჯი კვლევის“ მიერ, მაუწყებლობის თაობაზე საზოგადოებრივი კვლევის კონსოლიდირებული ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, 2011 წლის 4 მარტს, კომისიის N110/23 გადაწყვეტილების შესაბამისად, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. მიზანი - ტელერადიოსამაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე.

ზეპირი მოსმენა კომისიაში ჩატარდა 2011 წლის 5 აპრილს. ზეპირ მოსმენას ესწრებოდნენ სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელები, სამაუწყებლო ლიცენზიების მაძიებლები, საზოგადოებისა და პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოქვეყნდა ტელერადიოსამაუწყებლობის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის კონსოლიდირებული ანგარიში. შემდეგ გაიმართა კვლევის შედეგების განხილვა დამსწრე საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, ზეპირი მოსმენის სხდომაზე, დამსწრე საზოგადოების მიერ გამოთქმული წინადადებები და მოსაზრებები აისახა კომისიის 2011 წლის 5 აპრილის ზეპირი მოსმენის N8 სხდომის ოქმში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის კონსოლიდირებული ანგარიშის საფუძველზე, კომისიამ, 2011 წლის 18 აპრილის N190/22 გადაწყვეტილებით, დაადგინა, რომ:

1. ტელერადიოსამაუწყებლო პრიორიტეტების მოქმედების პერიოდში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, კერძო მაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად,



კონკურსები გამოცხადდებოდა როგორც საერთო, ისე სპეციალიზებული მაუწყებლობისათვის. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით, კერძო სპეციალიზებულ მაუწყებლობას უპირატესობა მიენიჭებოდა კერძო საერთო მაუწყებლობასთან შედარებით.

2. კერძო საერთო ან სპეციალიზებული ტელე ან რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად, კონკურსები გამოცხადდებოდა ცალ-ცალკე, სალიცენზიო განაცხადების შესაბამისად; კონკურსის გამოცხადებისას და ლიცენზიის მაძიებელთა მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების შეფასებისას, კომისია იხელმძღვანელებდა წინამდებარე გადაწყვეტილებით კერძო მაუწყებლობის თითოეული სახეობისათვის (სპეციალიზებული, საერთო) დადგენილი ტელერადიოსამაუწყებლო პრიორიტეტებით და თითოეულ სალიცენზიო განაცხადზე მიიღებდა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას;

3. ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ტელერადიოსამაუწყებლო პრიორიტეტების მოქმედების პერიოდში, სათემო მაუწყებლობა განისაზღვრა არაპრიორიტეტულ ლიცენზიის სახედ;

4. კერძო საერთო ტელემაუწყებლობის პრიორიტეტად ყველა სამაუწყებლო ზონასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დადგინდა პროგრამული მრავალფეროვნება;

5. კერძო სპეციალიზებული ტელემაუწყებლობის პრიორიტეტები კი დადგინდა შემდეგი თანმიმდევრობით, შემდეგ სამაუწყებლო ზონებში:

ა) საქართველოს ტერიტორია (ეროვნული მაუწყებლობა):

| საქართველოს ტერიტორია   |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკალური გადაცემები</li> <li>• გასართობი თოქ-შოუები</li> <li>• სატელევიზიო სერიალები</li> <li>• მხატვრული ფილმები</li> <li>• იუმორისტული გადაცემები</li> <li>• სპორტული გადაცემები</li> <li>• საბავშვო გადაცემები</li> <li>• შემეცნებითი გადაცემები</li> <li>• ანალიტიკური გადაცემები</li> </ul> |

ბ) სამაუწყებლო ზონა Geo 249 (პრიორიტეტები დადგინდა მხოლოდ ყოფილი 21-ე სამაუწყებლო ზონის (ზუგდიდი) მიხედვით, ყოფილი 24-ე (სოხუმი) სამაუწყებლო ზონის და ყოფილი 25-ე (ჩხალთა) სამაუწყებლო ზონის ოკუპირების გამო):

| სამაუწყებლო ზონა Geo 249  |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სპორტული გადაცემები</li> <li>• გასართობი თოქ-შოუები</li> <li>• შემეცნებითი გადაცემები</li> <li>• იუმორისტული გადაცემები</li> <li>• მხატვრული ფილმები</li> <li>• მუსიკალური გადაცემები</li> <li>• სატელევიზიო სერიალები</li> <li>• საბავშვო გადაცემები</li> </ul> |



გ) **სამაუწყებლო ზონა Geo 250** (ძირითადად მოიცავს 21-ე (ზუგდიდი) სამაუწყებლო ზონას და ნაწილობრივ, ყოფილ მე-18 (მესტია) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონას):

| სამაუწყებლო ზონა Geo 250   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• სპორტული გადაცემები; იუმორისტული გადაცემები;</li><li>• გასართობი თოქ-შოუები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• მხატვრული ფილმები; მუსიკალური გადაცემები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

დ) **სამაუწყებლო ზონა Geo 252** (მოიცავს, ძირითადად, ყოფილ 23 (ბათუმი) სამაუწყებლო ზონას; ნაწილობრივ, ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას):

| სამაუწყებლო ზონა Geo 252   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• მხატვრული ფილმები; გასართობი თოქ-შოუები;</li><li>• სპორტული გადაცემები; შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

ე) **სამაუწყებლო ზონა Geo 253** (მოიცავს, ძირითადად, ყოფილ მე-19 (ქუთაისი) სამაუწყებლო ზონას, მთლიანად ყოფილ მე-15 (ტყიბული) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ მე-17 (ცაგერი) სამაუწყებლო ზონას და ნაწილობრივ ყოფილ მე-14 (ჭიათურა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-16 (ონი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-18 (მესტია) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ 21-ე (ზუგდიდი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას):

| სამაუწყებლო ზონა Geo 253   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• იუმორისტული გადაცემები; შემეცნებითი გადაცემები; მუსიკალური გადაცემები;</li><li>• სპორტული გადაცემები; სატელევიზიო სერიალები;</li><li>• მხატვრული ფილმები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li><li>• გასართობი თოქ-შოუები;</li></ul> |

ვ) **სამაუწყებლო ზონა Geo 255** (მოიცავს ძირითადად და სრულად ყოფილ მე-13 (ახალციხე) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-12 (ახალქალაქი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ნაწილობრივ ყოფილ მე-9 (ბორჯომი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ 23-ე (ბათუმი) სამაუწყებლო ზონას):

| სამაუწყებლო ზონა Geo 255 |
|--------------------------|
|--------------------------|

- |  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• გასართობი თოქ-შოუები; მხატვრული ფილმები;</li><li>• სპორტული გადაცემები</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• დოკუმენტური ფილმები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |
|--|

**ზ) სამაუწყებლო ზონა Geo 256** (ძირითადად და სრულად მოიცავს ყოფილ მე-8 (გორი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილი მე-9 (ბორჯომი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ასევე ნაწილობრივ ყოფილ პირველ (თბილისი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-5 (დუშეთი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-6 (სტეფანწმინდა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-14 (ჭიათურა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-16 (ონი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-19 (ქუთაისი) სამაუწყებლო ზონას):

- | სამაუწყებლო ზონა Geo 256   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• მხატვრული ფილმები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები; სპორტული გადაცემები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები; სატელევიზიო სერიალები;</li><li>• გასართობი თოქ-შოუები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები;</li></ul> |

**თ) სამაუწყებლო ზონა Geo 257** (მოიცავს ძირითადად ყოფილ მე-5 (დუშეთი) სამაუწყებლო ზონას, მთლიანად მე-7 (ბარისახო) სამაუწყებლო ზონას და ნაწილობრივ ყოფილ მე-6 (სტეფანწმინდა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-4 (თიანეთი) სამაუწყებლო ზონას):

- | სამაუწყებლო ზონა Geo 257   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• სპორტული გადაცემები; გასართობი თოქ-შოუები; მხატვრული ფილმები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

**ი) სამაუწყებლო ზონა Geo 258** (ძირითადად მოიცავს ყოფილ მე-11 (დმანისი) სამაუწყებლო ზონას, მე-10 (ბოლნისი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს და ნაწილობრივ ყოფილ პირველ (თბილისი) და ყოფილ მე-12 (ახალქალაქი) სამაუწყებლო ზონებს):

- | სამაუწყებლო ზონა Geo 258   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• მუსიკალური გადაცემები; სპორტული გადაცემები;</li><li>• მხატვრული ფილმები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

• გასართობი თოქ-შოუები;

კ) **სამაუწყებლო ზონა Geo 259** (მოიცავს ძირითადად ყოფილ პირველ (თბილისი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილი მე-4 (თიანეთი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ნაწილობრივ ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-3 (საგარეჯო) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-10 (ბოლნისი) სამაუწყებლო ზონას):

| სამაუწყებლო ზონა Geo 259   |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• გასართობი თოქ-შოუები; მხატვრული ფილმები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები;</li><li>• შემეცნებითი გადაცემები; სპორტული გადაცემები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

ლ) **სამაუწყებლო ზონა Geo 261 ზონა** (მოიცავს ძირითადად ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-3 (საგარეჯო) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს):

| სამაუწყებლო ზონა Geo 261 ზონა  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"><li>• მხატვრული ფილმები; სპორტული გადაცემები;</li><li>• მუსიკალური გადაცემები; გასართობი თოქ-შოუები;</li><li>• იუმორისტული გადაცემები; შემეცნებითი გადაცემები;</li><li>• სატელევიზიო სერიალები;</li><li>• საბავშვო გადაცემები;</li></ul> |

6. კერძო საერთო რადიომაუწყებლობის პრიორიტეტად ყველა სამაუწყებლო ზონასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დადგინდა პროგრამული მრავალფეროვნება;

7. კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის პრიორიტეტად ყველა სამაუწყებლო ზონასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დადგინდა მუსიკალური თემატიკის პროგრამები;


8. გადაწყვეტილებით დადგენილი ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები ძალაში შევიდა 2013 წლის 18 აპრილამდე.

### *ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა*

მას შემდეგ რაც გაჩნდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შესაძლებლობები და შეიქმნა ელექტრომაგნიტური თავსებადობის შენარჩუნების ბევრად გაადვილებული ტექნოლოგიური საშუალებები, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე (RRC-06), ქ. ჟენევაში, მიღებული იქნა გეგმა GE06, რომლის მიხედვითაც მოხდა მისი წევრი ქვეყნებისთვის განსხვავებული ზონალური დაყოფის პრინციპის შემუშავება. საქართველოს ტერიტორია დაიყო 10 სამაუწყებლო ზონად. თითოეული ზონისთვის გამოიყო სამაუწყებლო ციფრული არხები, რომელთა სრულმა რაოდენობამ შეადგინა 175.

GE06 გეგმის შესაბამისად, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა უკვე დაწყებულია, რომელიც, უნდა დასრულდეს 2015 წლისათვის.


2011 წლის 1 აპრილის №2 დადგენილებით “ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ”, განსაზღვრულ იქნა საეთერო ციფრული სამაუწყებლო მომსახურების ზონები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია **GE06** გეგმასთან. ციფრულ სამაუწყებლო ზონებს შემდეგი სახე აქვთ:





### მაუწყებლების შემოსავლები

მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 12.8 მლნ ლარით (17%-ით) გაიზარდა და 88 მლნ ლარი შეადგინა.




მაუწყებლების შემოსავლის ძირითადი წყარო რეკლამაა. 2011 წელს, რეკლამიდან მიღებული შემოსავლის წილი 68.8% იყო. მას მოსდევს სპონსორობა - 12.6%. შემოწირულობას და ტელეფონებს უმნიშვნელო წილი ეკავათ, შესაბამისად 1.2% და 0.7%, სხვა შემოსავლების წილი კი 16.7% იყო. სხვა შემოსავლებში შედის, მაგალითად, ინტერაქტიული ნომრებიდან, განცხადებებიდან, იჯარიდან, ტექნიკური მომსახურებიდან, გადაცემის განთავსებიდან მიღებული შემოსავლები.

### თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის მიმოხილვა

2011 წელს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების ერთობლივმა შემოსავალმა 952 მლნ ლარი<sup>1</sup> შეადგინა.

სატელეკომუნიკაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების წილები, მომსახურების სახეების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:




ქვემოთ მოყვანილ თავებში დეტალურად განვიხილავთ დარგის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების ტენდენციებს.

<sup>1</sup> მესამე თავში მოყვანილი მაჩვენებლები, თუ სხვა წყარო მითითებული არაა, ეფუძნება კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზისთვის ავტორიზებული და მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ფორმების მონაცემებს. ერთობლივ შემოსავალში იგულისხმება კომპანიების მიერ წარმოდგენილი როგორც საცალო, ისე საბითუმო და სხვა სახის შემოსავლების ჯამი (დღგ-ს და აქციზის ჩათვლელად)

## მობილური კომუნიკაციები





საქართველოში მობილური აბონენტების<sup>1</sup> რაოდენობამ 2011 წლის ბოლოს **4,430,613** აბონენტი შეადგინა. 2011 წელს, 2010-თან შედარებით, აბონენტების რაოდენობა **11.3%**-ით გაიზარდა (**450,341** აბონენტი). მობილური აბონენტების სიმკვრივე<sup>2</sup> 2011 წელს **9.4%**-ით გაიზარდა და **99.1%** შეადგინა (2010 წელს სიმკვრივე 89.7% იყო).



2011 წელს ბაზარზე ოთხი კომპანია ოპერირებდა: შპს „ჯეოსელი“, შპს „მაგთიკომი“, შპს „მობიტელი“ და სს „სილქნეტი“. ბოლო კვარტალში შპს „ჯეოსელის“ საბაზრო წილი 41.7%-ს შეადგენდა, შპს „მაგთიკომის“ - 37.9%, შპს „მობიტელის“ - 20.4%. სს „სილქნეტმა“ მობილური კომუნიკაციების სფეროში 2011 წლის დეკემბერში დაიწყო ოპერირება და წლის ბოლოსთვის 1782 აბონენტი ჰყავდა.

<sup>1</sup> აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი ზარი, SMS, MMS, გაწეულ იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი სერვისით მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩათვლელად)

<sup>2</sup> აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე.



მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 2011 წელს 441 მლნ ლარი შეადგინა (არ შედის დღგ და აქციზი). შემოსავლის 73.1% ხმოვან მომსახურებებზე მოდიოდა, SMS – 8.8%, ინტერნეტი - 3.6%, სხვა დამატებით მომსახურებებზე კი ჯამში 14.5%.

აღსანიშნავია, რომ თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU – Average Revenue per User, დღგ-ს და აქციზის ჩაუთვლელად<sup>1</sup>) 2011 წელს სტაბილური იყო და 8-დან 9 ლარამდე მერყეობდა.



<sup>1</sup> ARPU-ს ვითვლით შემდეგნაირად: კვარტლის განმავლობაში ოპერატორების მიერ მიღებულ საცალო შემოსავალს (დღგ-ს და აქციზის გამოკლებით) ვყოფთ კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და შედეგს ვყოფთ 3-ზე




საინტერესო ფაქტია, რომ ARPU-ს სტაბილურობის ფონზე, გაიზარდა აბონენტების მიერ ხმოვანი სერვისების, SMS-ის და ინტერნეტის მოხმარება. ეს ფაქტი 2010-2011 წლებში მობილური კომუნიკაციების მომსახურების გაიაფებით აიხსნება.

2011 წელს მობილური ოპერატორების მიერ გაწეული ხმოვანი მომსახურების მოცულობა არსებითად გაიზარდა. თუ წლის განმავლობაში 2010 წელს მობილური ქსელებიდან წამოწყებული (გამავალი) ტრაფიკის მოცულობა 3.3 მლრდ წუთი იყო, 2011 წელს იგივე მაჩვენებელმა 5.2 მლრდ. წუთი შეადგინა. ტრაფიკი 58%-ით გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა ერთი აბონენტის მიერ ნასაუბრები (გამავალი) წუთების რაოდენობა (MOU)<sup>1</sup>. მან პიკს მესამე კვარტალში მიაღწია და 117 წთ შეადგინა. ზრდის გამომწვევი მთავარი ფაქტორი ოპერატორების მხრიდან ტრაფიკის მაგენერირებელი სატარიფო გეგმების და აქციების შეთავაზება იყო. მესამე კვარტალში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტრაფიკის სეზონურმა ზრდამ (მესამე კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) აბონენტები, ჩვეულებრივ, უფრო აქტიურად იყენებენ მობილურ მომსახურებას, რადგან ამ პერიოდში ხშირად უწევთ მუდმივი საცხოვრებელი/სამუშაო ადგილიდან მოშორებით ყოფნა). შესაბამისად, მეოთხე კვარტალში, როცა სეზონურობის ეფექტი განეიტრალებოდა, ტრაფიკმა მოიკლო.



გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 76.0%-ს - მობილური ოპერატორების საკუთარ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 17.3%. ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული ზარების წილი 3.6%-ია, საერთაშორისო ზარების - 1.8%. ყველა დანარჩენი ზარების წილმა სულ (ინტერაქტიული, როუმინგი, ცხელ ხაზზე განხორციელებული უფასო ზარები) 1.2% შეადგინა.



<sup>1</sup> MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (ივლისისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა. გამოითვლება შემდეგნაირად: კვარტალში ჯამურად ნასაუბრები წუთები/კვარტალში აბონენტების რაოდენობა/3



მნიშვნელოვანად შემცირდა საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების (მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული) საშუალო ტარიფი (ზარებიდან მიღებული შემოსავალი დღეს და აქციზის ჩათვლით გაყოფილი შესაბამის ტრაფიკზე). თუ 2010 წლის ბოლო კვარტალში იგი 11.1 თეთრს შეადგენდა, 2011 წლის ბოლო კვარტალში მან 6.6 თეთრი შეადგინა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ 2010-2011 წლებში მობილურ ოპერატორებს შორის კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც, საბოლოო ჯამში, ტარიფების შემცირება გამოიწვია.




კონკურენციის გამმაფრების მნიშვნელოვანი სტიმული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რიგი ღონისძიებების გატარებაა, რამაც ოპერატორებს შორის კონკურენცია ახალ სიბრტყეზე აიყვანა.

მნიშვნელოვანი სხვაობაა მობილური ოპერატორის საკუთარ ქსელში, სხვა მობილური ოპერატორის ქსელში და ფიქსირებულ ქსელში დასრულებული ზარების საშუალო ტარიფებს შორის. მათი მნიშვნელობა 2011 წლის მეოთხე კვარტალში, შესაბამისად, 4.0, 18.6 და 13.4 თეთრს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საკუთარ ქსელში დასრულებული ზარების ტარაფის სიმცირის ერთ-ერთი განმარტობებელი ფაქტორი, კორპორატიულ სეგმენტზე მოქმედი სატარიფო გეგმებია, რომელთა ფარგლებშიც, სააბონენტო გადასახადის სანაცვლოდ, აბონენტები შეუზღუდავად საუბრობენ.

SMS მომსახურებით 2011 წელს საშუალოდ აბონენტთა 69% სარგებლობდა. სერვისით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობა სტაბილური იყო. სულ 2011 წელს 3.7 მლრდ SMS გაიგზავნა (2010 წელს - 3.3 მლრდ).





2011 წელს ინტერნეტ-მომსახურების მიმართ აბონენტების განსაკუთრებულად მზარდი ინტერესი დაფიქსირდა. თუ 2010 წლის ბოლო კვარტალში მობილური ინტერნეტით 800 ათას აბონენტამდე სარგებლობდა, 2011 წლის ბოლო კვარტალში იგივე მაჩვენებელმა 1.2 მილიონ აბონენტს გადააჭარბა (50%-ით მეტი). კიდევ უფრო მეტად გაიზარდა აბონენტების მიერ მოხმარებული ინტერნეტის ტრაფიკის ოდენობა. თუ 2010 წელს მოხმარებული ტრაფიკი 180 ტერა ბაიტს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელმა 2011 წელს 370 ტერა ბაიტი შეადგინა. ტრაფიკი 2-ჯერ გაიზარდა. საქართველოში დაფიქსირებული ზრდის მაჩვენებელი შესაბამისობაშია მსოფლიოში არსებულ მობილური ტრაფიკის ზრდას ტენდენციასთან.

აღსანიშნავია, რომ შპს „მაგთიკომი“ და შპს „ჯეოსელი“ თავიანთ აბონენტებს სთავაზობენ ფართოზოლოვან მობილურ (მესამე თაობის) მომსახურებას<sup>1</sup>, შპს „მობიტელი“ და სს „სილქნეტი“ კი მხოლოდ ვიწროზოლოვან მომსახურებას. შპს „მაგთიკომს“ და შპს „ჯეოსელს“ ასევე დანერგილი აქვთ 3.5G ტექნოლოგიაც.



<sup>1</sup> განცალკევებულად სტატისტიკური ინფორმაცია მობილური ფართოზოლოვანი და ვიწროზოლოვანი მომსახურებების შესახებ მობილურმა ოპერატორებმა ვერ წარმოადგინეს



2011 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შპს „ჯეოსელის“ და შპს „მობიტელის“ მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა. წლის ბოლოს, აბონენტების თვალსაზრისით, შპს „ჯეოსელი“ ბაზრის 39.8%-ს, შპს „მაგთიკომი“ - 32.2%-ს, შპს „მობიტელი“ კი 28.0%-ს ფლობდნენ. წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამივე ოპერატორის მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ოდენობა. ტრაფიკის თვალსაზრისით, წლის ბოლო კვარტალში, შპს „მაგთიკომის“ წილი 34%, შპს „ჯეოსელის“ - 48%, შპს „მობიტელის“ კი 19% იყო.



### მობილური ნომრის პორტაბელურობა

წლის განმავლობაში სულ 73,531 ნომრის პორტირება განხორციელდა. ყველაზე მეტი პორტირება მეორე კვარტალში დაფიქსირდა - 22,675. მესამე და მეოთხე კვარტლებში პორტირებების რაოდენობამ შედარებით იკლო.

პორტირების შედეგად, ყველაზე მეტი აბონენტი (უფრო ზუსტად, სატელეფონო ნომერი) შპს „ჯეოსელმა“ შეიძინა - 12,079 (პორტირების შედეგად მიღებული და გადასული ნომრების რაოდენობების სხვაობა). მას მოსდევს შპს „მობიტელი“ შექმნილი 3,435 სატელეფონო ნომრით. შპს „მაგთიკომმა“ პორტირების შედეგად 15,517 აბონენტი დაკარგა. სს „სილქნეტის“ ქსელში პორტირების გზით მხოლოდ 3 აბონენტი გადავიდა.







## ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციები

ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების<sup>1</sup> ბაზარზე 2011 წელს მნიშვნელოვანი ფაქტი დაფიქსირდა: უსადენო ტექნოლოგიის (CDMA) აბონენტების რაოდენობამ გადააჭარბა სადენიანი (კომუტირებადი სადენიანი ტექნოლოგიები - PSTN) აბონენტების რაოდენობას. მეოთხე კვარტალში 731,637 CDMA და 590,845 PSTN აბონენტი დაფიქსირდა.

PSTN აბონენტების რაოდენობა პრაქტიკულად იგივე დარჩა - იგი მხოლოდ 8,590 აბონენტით გაიზარდა, CDMA აბონენტების მატებამ კი 214,898 აბონენტი შეადგინა. არსებული მდგომარეობით, VoIP აბონენტების რაოდენობა მცირეა, თუმცა სწრაფი ტემპით მატულობს. წლის ბოლოს VoIP აბონენტების რაოდენობამ 20,066 შეადგინა.




კომუტირებადი სადენიანი კომუნიკაციების ბაზარზე, 2011 წელს, საბაზრო წილები პრაქტიკულად არ შეცვლილა. წლის ბოლო კვარტალში სს „სილქნეტი“ აბონენტების ბაზრის 62.7%-ს ფლობდა, შპს „ახალი ქსელები“ - 20.0%-ს, შპს „ახტელი“ - 11.5%-ს, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (Central Georgian Communications Co. Ltd - CGC) კი 4.0%-ს. სხვა ოპერატორების ჯამური წილი უმნიშვნელო იყო - 1.9%.


ფიქსირებული სადენიანი აბონენტების 80% 4 დიდ ქალაქშია თავმოყრილი: თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში. სატელეფონო სიმკვრივე (ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი შესაბამის რეგიონში ოჯახების რაოდენობაზე) საქართველოს მასშტაბით, 2011 წლის ბოლოს, 42.8%-ს შეადგენდა. სატელეფონო სიმკვრივე დიდ ქალაქებში და დანარჩენ ტერიტორიაზე არსებითად განსხვავებულია. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის გამოკლებით, იგი 12.2%-ს შეადგენს.

<sup>1</sup> იგულისხმება ყველა სახის სატელეფონო ტექნოლოგია მობილური ტექნოლოგიების გარდა.

**PSTN ქსელის აბონენტების განაწილება**



**კომპიუტერბადი სადენიანი ტელეფონების პენეტრაცია დასახლებული პუნქტების მიხედვით**





**კომპიუტერბადი სადენიანი ტელეფონების პენეტრაცია<sup>1</sup> დასახლებული პუნქტების მიხედვით:**

|           | 2010 | 2011 |
|-----------|------|------|
| სულ       | 42%  | 43%  |
| თბილისი   | 100% | 101% |
| ქუთაისი   | 91%  | 94%  |
| ბათუმი    | 72%  | 88%  |
| რუსთავი   | 88%  | 86%  |
| ფოთი      | 69%  | 64%  |
| დანარჩენი | 12%  | 12%  |


2011 წელს CDMA ტელეფონის ბაზარზე შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი იზრდებოდა და მეოთხე კვარტალში 90.9% შეადგინა. სს „სილქნეტის“ საბაზრო წილი შემცირდა და წლის ბოლოს 8.9% იყო. შპს „ქართული სატელეფონო კომპანიის“ (Georgian Telecom Company - GTC) საბაზრო წილი უმნიშვნელო იყო (0.2%).

VoIP ტელეფონის ბაზარზე არსებითად გაიზარდა სს „სილქნეტის“ აბონენტების წილი. თუ პირველ კვარტალში სს „სილქნეტის“ საბაზრო წილი 14.3% იყო, მეოთხე კვარტალში იგივე მაჩვენებელმა 66.3% შეადგინა. შესაბამისად, შემცირდა სხვა ოპერატორების საბაზრო წილებიც და წლის ბოლოს შპს „მაიფონის“ საბაზრო წილი - 14.7%, შპს „კავკასუს ონლაინის“ - 7.7%, სს „გლობალ ერთის“ - 4.5%, ყველა სხვა კომპანიის ჯამური წილი კი 6.8% იყო.

<sup>1</sup> იგივე სიმკვრივე




2011 წელს ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების ჯამური გამავალი ტრაფიკი 2010 წელთან შედარებით 12% გაიზარდა და 3 მლრდ წუთი შეადგინა. მნიშვნელოვნად გაიზარდა CDMA და VoIP გამავალი ტრაფიკები, შესაბამისად - 75% და 139%-ით, კომპუტერული სადენიანი ტექნოლოგიების ტრაფიკი კი 9%-ით შემცირდა.



## ფართოზოლოვანი და ვიწროზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება


2011 წელს (ფართოზოლოვანი და ვიწროზოლოვანი) ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობამ (მობილური ინტერნეტის ჩათვლით) 1,637,905 შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 541,692 აბონენტით (49%-ით) მეტია. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად განვითარდა ფართოზოლოვანი ქსელები და მომსახურება. თუ 2010 წლის ბოლოს 287,144 ფართოზოლოვანი ინტერნეტ აბონენტი ფიქსირდებოდა<sup>1</sup>, 2011 წლის ბოლოს იგივე მაჩვენებელმა 388,168 აბონენტი შეადგინა. ფართოზოლოვანი ქსელის აბონენტების რაოდენობა 35%-ით, ფართოზოლოვანი ინტერნეტ აბონენტების პენეტრაცია<sup>2</sup> კი 23%-დან 31%-მდე გაიზარდა.



რაც შეეხება ვიწროზოლოვან ტექნოლოგიებს, CDMA 1x (შემდგომში CDMA) ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა პრაქტიკულად არ შეცვლილა, Dial-Up მომსახურება კი ფაქტიურად აღარ გამოიყენება.

<sup>1</sup> არ შედის ფართოზოლოვანი მობილური აბონენტების მონაცემები. (ფართოზოლოვანი და ვიწროზოლოვანი) მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა შესახებ კრებითი მონაცემები იხ. მობილური კომუნიკაციების ქვეთავში

<sup>2</sup> ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყანაში შინამეურნეობების (ოჯახების) რაოდენობაზე




2011 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა **სადენიანი ფართოზოლოვანი** ქსელების ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა: ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა 47%-ით, DSL ტექნოლოგიების აბონენტების რაოდენობა კი 23%-ით გაიზარდა.

**უსადენო ფართოზოლოვანი** ტექნოლოგიებიდან (მობილურის გარდა) საქართველოში ძირითადად CDMA EVDO (შემდგომში EVDO), WiMax და WiFi ტექნოლოგიებია დანერგული. EVDO აბონენტების რაოდენობა წლის ბოლოს 41 ათასი, WiMax და WiFi აბონენტების რაოდენობა კი, შესაბამისად, 7,229 და 4,468 იყო. აღსანიშნავია, რომ სამივე ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა 2011 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა.



**DSL** ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, 2011 წლის ბოლოს, სს „სილქნეტის“ საბაზრო წილი 76%-ს იყო. DSL ინტერნეტის ბაზარზე ასევე მნიშვნელოვანი მოთამაშეები იყვნენ შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „კავკასუს ონლაინი“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (Central Georgian Communications Co. Ltd - CGC). დანარჩენ კომპანიებს ერთობლივად ბაზრის მხოლოდ 1% ეჭირათ.






DSL აბონენტების ნახევარი თბილისში არის. მას მოსდევს ბათუმი და ქუთაისი დაახლოებით 10-10%-ით და რუსთავი 4%-ით.

2011 წელს სს „სილქნეტის“, შპს „ახალი ქსელების“ და შპს „აბტელის“ DSL აბონენტების რაოდენობა იზრდებოდა, შპს „კავკასუს ონლაინისა“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ კი პირიქით - მცირდებოდა.





ობტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინტერნეტ აბონენტების თვალსაზრისით, შპს „კავკასუს ონლაინი“ აბონენტების 76%-ს ფლობს. მას მოსდევს სს „სილქნეტი“ (15%) და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ (8%). სხვა კომპანიების წილი უმნიშვნელოა.



ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელით ინტერნეტის მიწოდება ბოლო მომხმარებლისთვის თბილისში და რუსთავში ხდება. სხვა დასახლებულ პუნქტებში იგი პრაქტიკულად არაა გავრცელებული.



2011 წელს შპს „კავკასუს ონლაინის“, შპს „სილქნეტის“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების რაოდენობა იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ აბონენტების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, შპს „კავკასუს ონლაინის“ საბაზრო წილი წლის განმავლობაში 90.4%-დან 76.1%-მდე შემცირდა.





EVDO ინტერნეტის ბაზარზე ორი მოთამაშეა - შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“. შპს „მაგთიკომი“ ბაზარს პრაქტიკულად სრულად ფლობს. სს „სილქნეტს“ 2011 წლის დეკემბერში მხოლოდ 81 აბონენტი ჰყავდა.

**WiMax** ტექნოლოგიის ბაზარზე შპს „ვიტელ ჯორჯიას“ ყველაზე მეტი აბონენტი ჰყავდა. მას მოსდევდა შპს „სერვისლაინი“, სხვა ოპერატორებს კი ბაზრის უმნიშვნელო წილი ეკავათ.

**WiFi** ბაზარზე 2011 წლის ბოლოსთვის 33 პატარა კომპანია ოპერირებდა და მათ შორის გამოკვეთილი ლიდერები არ იყვნენ. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მესამე კვარტლიდან WiFi აბონენტების რაოდენობამ მკვეთრად დაიწყო ზრდა. 2011 წლის დეკემბერში 4,427 აბონენტი დაფიქსირდა.





რაც შეეხება ვიწროზოლოვან მომსახურებებს, CDMA ტექნოლოგიის ბაზარზე შპს „მაგთიკომი“ აბონენტების 96%-ს ფლობდა, სს „სილქნეტი“ - 4%-ს. უმნიშვნელო საბაზრო წილს ფლობდა შპს „ქართული სატელეფონო კომპანია“. შპს „მაგთიკომის“ აბონენტთა რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო და დაახლოებით 20,000-ს შეადგენდა, სს „სილქნეტის“ აბონენტთა რაოდენობა კი იკლებდა და დეკემბერში 713 შეადგინა.



## მაუწყებლობის ტრანზიტი

მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობა 2011 წელს იზრდებოდა და წლის ბოლოს 171,641 აბონენტი შეადგინა. შესაბამისად იზრდებოდა შემოსავლებიც. 2011 წელს ჯამურმა შემოსავალმა 21,800,782 ლარი შეადგინა. ARPU წლის განმავლობაში 10.29 ლარიდან 12.80 ლარამდე გაიზარდა.



ბაზარზე ყველაზე მსხვილი სამი მოთამაშე შპს „სუპერ ტვ“, სს „სილქნეტი“ და სს „ჯი ენ ენ“-ია. სს „სილქნეტის“ აბონენტების რაოდენობა 2011 წელს მკვეთრად გაიზარდა და წლის ბოლოს 43,027 შეადგინა. შპს „სუპერ ტვ-ს“ და სს „ჯი ენ ენის“ აბონენტების რაოდენობა კი შემცირდა და დეკემბერში შესაბამისად 37,936 და 19,140 აბონენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ახალი თაობის ქსელების განვითარებამ, ოპერატორებს საშუალება მისცა დაენერგათ ციფრული ფორმატის ტრანზიტული მაუწყებლობა (მათ შორის IPTV), რამაც მომსახურების აღნიშნული სახე თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა.





# დანართი : აუდიტორის დასკვნა



## „რეიტინგი“

„RATING„ AUDIT FIRM

აუდიტორული ფირმა

0160. თბილისი.

ვაჟა-ფშაველას გამ. №16. მე-13 სართული  
ტ. 37-49-38. მობ. 899-56-68-13. www.auditfirm.ge

საქართველოს  
პარლამენტთან  
არსებული  
აუდიტორული საბჭო



№ 12-2/47

\* 14 \* დიდი 2012წ.


### აუდიტორული დასკვნა

2012 წლის 28 აპრილიდან 13 მაისამდე, (თანახმად 2012 წლის 27 აპრილის ხელშეკრულებისა) აუდიტორულმა ფირმა „რეიტინგი“ ჩაატარა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის ჩატარების პროცედურა მოითხოვდა სამუშაოს იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას და ტესტირებას დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებასც მთლიანად.

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბალანსის შედგენილია იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას. ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 01 იანვრისთვის მდგომარეობით.



აუდიტორული ფირმა „რეიტინგი“-ს  
დირექტორი  
ირაკლი ჯალაღიშვილი

